


# საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: [www.sakresp.ge](http://www.sakresp.ge)



იმისთანა წმინდა საცემში, ბეგობიც ბეჭდ-  
ვური სიტყვას, ცყუილებით და ჭაბჭაბით ბუბ-  
თის გაღანა ყველა უკადრისმბაზე უსამაგლესია.

შაბათი, 30 იანვარი. 2016 წ. №18 (7910), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@top.ge](mailto:sakresp@top.ge) | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გავერდში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!



**წერილი  
ვაკვიტიდან**

„ვეფხისტყაოსანს“ აწაბები  
თავიანთ ენაზე კითხულობენ...

**ახალი ხანა თბერის თეატრში**  
„ქართუს“ 40 მილიონი დოლარი დაუჯდა  
თბილისის ოპერის შენობის განახლება



**კარ იღების  
ცისად** 6

ამას ბჭობა  
არ  
უნდ არა...

**სად  
ბინადრობს  
სული?** 9

**ნირო პერვედ  
ნაპა რიოს,  
რომ მსოფლიო  
ბაღარიოს...** 10

**„დროის  
ნირობლიფები“  
და ქართული  
წერილობითი  
კულტურა** 7

**წინააღმდეგობა და  
ანაწინაობის  
ბრძოლისთვის**

## მეტრო - დედაქალაქის სატრანსპორტო არტერია



1966 წლის 11 იანვარი - მეტროპოლიტენის პირ-  
ველი რიგის ექსპლუატაციაში შესვლა უმნიშვნელო-  
ვანესი მოვლენა იყო დედაქალაქ თბილისის და სრუ-  
ლიად საქართველოს ისტორიაში. მას შემდეგ დიდი

დრო გავიდა, ძველ მეტროსადგურებს ათეულობით  
ახალი სადგური, ათეულობით კილომეტრი გადასარ-  
ბენი გვირაბები, ელდეგო და სხვადასხვა სამოქალა-  
ქო მნიშვნელობის ობიექტები შეემატა ქვეყნის მას-  
შაბით.  
ამ წლების განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა;  
ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა რყევებმა თავი-  
სი გავლენა მოახდინა მეტრომშენებლობის შემდგომ  
პერსპექტივებზე.  
იცვლებოდნენ სახელმწიფოსა თუ ქალაქის  
სელმძღვანელები, იცვლებოდა ხელისუფლებები, იც-  
ვლებოდა ქვეყანა, ვიცვლებოდა ადამიანებიც...  
უცვლელი დარჩა მეტრომშენებელთა ნაღვანი,  
რომლის საფუძველზეც დღეს 50 წლის იუბილეს ვუ-  
იმობთ და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია - უც-  
ვლელი დარჩა გამორჩეული ერთგულება მეტრომ-  
შენებელთა სახელოვანი კოლექტივისადმი იმ ადამი-

ანებისა, ვისაც ჰქონდა ბედნიერება, ოდესმე ამ კო-  
ლექტივის წევრი ყოფილიყო.  
ვულოცავთ დედაქალაქს, სრულიად საქართვე-  
ლოს, მეტროპოლიტენის დიდ კოლექტივს, მეტრომ-  
შენებლებს იუბილეს და გულწრფელად ვუსურვებთ  
შემდგომ განვითარებას თბილისის ამ უმნიშვნელო-  
ვანეს სატრანსპორტო არტერიას.  
ვეტერან მეტრომშენებელთა სახელით:  
ბ. სონდულაშვილი, ბ. ზოკუჩავა, რ. გვირა-  
ბაძე, მ. გურული, კ. კილაძე, ბ. ყურაშვილი, მ.  
წოწოლაშვილი, ბ. ჯაფარიძე, თ. შურაბაძე, თ. ასა-  
ნიძე, თ. ნიკოლეიშვილი ბ. კილაძე, ნ. რევა-  
ზიშვილი, თ. დონაძე, მ. ბუაძე, ბ. გომიჩაიშ-  
ვილი, მ. ვეკუა, ო. შიშინაშვილი, რ. დავაძე, მ.  
ლომჯანიძე, მ. თაყაიშვილი, ლ. კიკუა,  
დიანა ფარულია, მირი მირაბიშვილი.

28 იანვარი, 2016 წელი

	<p><b>უხსოვრი პალატის კარსი:</b>                  აუზ დოლარი - 2.497; აპრი - 2.721;                  ბრიტანული გირანაბა სტერლინგი - 3.579;                  100 რუბლი - 3.273; თურქული ლირა - 0.839;                  აზერბაიჯანული მანათი - 1.565;                  1000 სომხური დრამი - 5.107</p>	<p><b>აინელი 30 იანვრისთვის</b>                  აღმოსავლეთ საქართველო:                  ბაზი - ღამე -3, ღამე +10                  შიშინი რაიონები - ღამე -5, ღამე +6                  დასავლეთ საქართველო:                  ბაზი - ღამე +1, ღამე +9                  შიშინი რაიონები - ღამე -3, ღამე +6                  თბილისი: ღამე +2, ღამე +9</p>	<p><b>ჩვენი მისამართია:</b>                  თბილისი,                  განაბლის ქ. №7                  რეკლამა:                  293-37-87,                  599-79-76-79</p>
--	---	---	---

წერილი ეგვიპტიდან

„ვეფხისტყაოსანს“ არაბები თაჰიანთ ენაზე კითხულობენ...

2016 წლის 26 იანვარს ეგვიპტის პრესაში გავრცელდა ინფორმაცია მიმდინარე წლის 31 იანვარს ეგვიპტის წიგნების 47-ე საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში არაბულ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსანის“ პრეზენტაციის შესახებ, რომელიც საელჩოს ორგანიზებით სორცილდება.

მიმდინარე თვეში კაიროში საქართველოს საელჩომ დაასრულა არაბულად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანის“ გამოცემის პროექტზე მუშაობა. წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა ეგვიპტეში საქართველოს საელჩოსა და ეგვიპტის კულტურის სამინისტროს ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე. საელჩო ამ პროექტზე ერთი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა. აღნიშნულ საკითხზე გაიმართა არაერთი შეხვედრა ეგვიპტის შესაბამისი

უნეებების ხელმძღვანელობასთან, მათ შორის ეგვიპტის კულტურის მინისტრთან და მის პირველ მოადგილესთან საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების საკითხებში, ასევე წიგნების გენერალური ორგანიზაციის თავმჯდომარესთან. ქართული დამწერლობის წარმოჩენის მიზნით, წიგნის ყდაზე გამოყენებულია ქართველი კალიგრაფის ფიქრია ჭაბუკიანის ნამუშევრები. ამასთან, ყდაზე წიგნისა და ავტორის სახელი წარმოდგენილია როგორც არაბულ, ასევე ქართულ ენებზე. წიგნი დასურათებულია სერგო ქობულაძის ილუსტრაციებით. 2016 წელს 27 იანვარი-10 თებერვალს კაიროს წიგნების


შოთა რუსთაველი - 850

47-ე საერთაშორისო გამოფენა - 47th Cairo International Book Fair გაიხსნა, რომელშიც 34 ქვეყანა და

თინათინ მხეიძე. აღსანიშნავია, რომ სწორედ ბატონი ლევან სალარაძის თაოსნობით 1984 წელს სირიის დედაქალაქ დამასკოში არაბულ ენაზე პირველად ითარგმნა და გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“. მის გამოცემაში აქტიურად იყვნენ ჩართული ცნობილი ქართველი მეცნიერები. საელჩო მადლობას უხდის მათ არაბულ სამყაროში ქართული კულტურის წარმოჩენის მხრივ გაწეული ფასდაუდებელი ღვაწლისათვის. წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის ცნობილ ქართველ აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერს ბატონ გურამ ჩიქოვანს და არაბულ ენაზე მთარგმნელს ნიზარ ხალილს. ამასთან, უნდა აღინიშნოს გამოცემლობა „არტანუჯის“ დირექტორის ბატონი ბუბა კუდავას დამსახურება „ვეფხისტყაოსანის“ მეორედ გამოცემის საქმეში.

საელჩო ასევე მადლობას უხდის გამოჩენილი ქართველი მხატვრის სერგო ქობულაძის ოჯახს „ვეფხისტყაოსანის“ საილუსტრაციო მასალების მოწოდებისათვის.

საელჩოსა და ეგვიპტის კულტურის სამინისტროს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, ეგვიპტის მხარე მთლიანად ფარავს წიგნის გამოცემის ხარჯებს. მნიშვნელოვანია, რომ არაბულ ენაზე გა-



შოთა რუსთაველი - 850 წლის ილუსტრაციები



მოცემული „ვეფხისტყაოსანი“ მისანვლოში იქნება ფართო საზოგადოებისთვის. წიგნი გაიყიდება ეგვიპტის წიგნების გენერალური ორგანიზაციის სხვადასხვა მსხვილ მაღაზიებში. ამ ეტაპზე „ვეფხისტყაოსანის“ 2000 ეგზემპლარს გამოიცემა. უდავოა, რომ აღნიშნული მიღწევა კიდევ ერთი წინადადებული ნაბიჯია საქართველო-ეგვიპტის მჭიდრო კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებისა და არაბულ სამყაროში ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენის მიმართულებით.

გურამ ნიკლაური კაირო-თბილისი.

ამერ-იბერუი

მნიშვნელოვანია

ეთნიკური წინააღმდეგობის აღიარება



ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელის უილიამ ლაპიუსს შეფასებით, საკმარისია გორისკენ წახვიდეთ და მისხდეთ, რომ ადგილი ჰქონდა ეთნიკურ წმენდას.

პააგის სასამართლოს მიერ რუსეთ-საქართველოს ომის გამოძიების საკითხზე საუბრისას მან ასევე განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია განხორციელებული ეთნიკური წმენდის აღიარება.

ლაპიუსი დასძინა, რომ უნდა მოხდეს პრობლემების მოგვარება და დამყარდეს მშვიდობა საქართველოს ამ ტერიტორიაზე.

ლარის კურსთან დაკავშირებით

საბჭოთაშინაგო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუტუაშვილიმა ყურნალობის ტენდენციას განაცხადა, რომ მას პირადად აქვს ყოველდღიურად კონტაქტი როგორც ეროვნულ ბანკთან, ასევე, ფინანსთა სამინისტროსთან, რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია.

„ლარის კურსი, თუ არ ვცდები 2.46 და რაღაცაზეა ჩამოსული. აქედან გამომდინარე, აქ აშკარად დადებითი ტენდენცია გვაქვს. შემოქმედით და გადასტურით, რომ პირადად, ყოველდღიურ კონტაქტზე ვარ როგორც ეროვნულ ბანკთან, ასევე, ფინანსთა სამინისტროსთან. ეს არის პრინციპულად მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ, ყველა შტოს, ვინც ამაში ვიღებთ მო-

ნაწილებს, მეტად თუ ნაკლებად, ჰქონდეს სინქრონიზირებული ქმედებები. ძალიან მნიშვნელოვანია შეგრძნებები და აღქმები და ამ მიმართულებით, კვლავ ვამბობთ, რომ მაკროეკონომიკაში რაც იყო პარამეტრები, ის შესწორება ახლა მოხდა და ჩვენ მესტ არ ველოდებით“, - განაცხადა მან.



არჩევნებისას სპეცუბნები გაუქმდება

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საპარლამენტო არჩევნებისთვის სპეცუბნები გაუქმდება, თუმცა, ერთადერთი გამონაკლისი იქნება ავღანეთი.

თინათინ ხიდაშელმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ მთავრობის სხდომაზე თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტი გავიდა.

„როგორც შევირდი მოსახლეობას, გაუქმდება სპეცუბნები. ეს წერია უკვე კანონპროექტში და დარწმუნებული ვარ, პარლამენტი ამას ასე უცვლელად მიიღებს“, - განაცხადა მინისტრმა.

ჯამარაულმა ბარდაბანში გაიმარჯვა

ცესკოს ინფორმაციით, გარდაბანში გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამგებლობის კანდიდატმა გოჩა ჯამარაულმა ხმების 70,15%-ი მიიღო, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა ბესიკ კახაბრიშვილმა კი - 29,85%. შესაბამისად, ჯამარაულმა 16 104 ხმა მიიღო, ხოლო კახაბრიშვილმა - 6851.

რუსეთის საგარეო საკმითა მინისტრი სერგეი ლავროვი (პალატაროვი) დიდი ბაიკაბარა ვინება. თუმცა, „ბაიკაბარა დიპლომატი“ იბივია, რაც „სპელი წყალი“.

ლავროვის ბოლო პრესკონფერენციაზე ქართველი ჟურნალისტის კითხვამ და ამ კითხვაზე რუსული დიპლომატიის მამამთავრის პასუხმა ჩვენში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. თითქოს სხვა თემმა, თუმცა, ძალიან სამწუხაროა, რომ ვერც ქართველი ჟურნალისტები, ვერც (ეს ბევრად უარესია) ქართველი „დიპლომატიები“ ვერ ხვდებიან, ვერ ამჩნევენ, რამდენად უბადრუკად გამოიყურება ქვეყანა, რომელიც მეზობელ სახელმწიფოს ადანაშაულებს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციაში, და, იმავდროულად, ყველა პრესკონფერენციას თუ ყველა დიპლომატიურ რაუტს, ესე იგი ნებისმიერ საშუალებას იყენებს საიმისოდ, რათა უვიზო რეჟიმის თაობაზე ესვენოს.

მთავარი ის კი არ არის, რამდენად დამამცირებელია ამგვარი მიდგომა, არამედ ის, თუ როგორ „ჩანს“ ეს გარეშე თვალისთვის. და მერე გვიკვირს, რატომ არ „იტყვივებენ აუტკივარ თავს“ ჩვენთვის იგივე ევროპელები და ამერიკელები! „მასპინძელს უხარია და შენ ვინ გეკითხება?“

მაგრამ ბევრად უფრო არსებითი ლავროვის სხვა განცხადებებია: თითქოს არაფერი ახალი არ უთქვამს, ოღონდ აქცენტები, ჩვეული „ოსტატობით“ დასვა: „უვიზო რეჟიმის შესაძლებლობას განვიხილავთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დიპლომატიური ურთიერთობა აღდგება, ქართველი ხალხი კი (რომელსაც ძალიან უნდა რუსეთთან ურთიერთობა) არ უნდა ისჯებოდეს სააკაშვილის დანაშაულთა გამო.“

უნდა თუ არ უნდა ქართველ ხალხს თანამედროვე რუსეთთან ურთიერთობა, ამაზე დისკუსია აზრს კარგავს უკვე ნახსენებ მიზეზით: რაკ ქართველი დიპლომატიებიც და ქართველი ჟურნალისტებიც შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რათა ოკუპანტ ქვეყანას (ამჯერად ბრჭყალებს გარეშე) უვიზო რეჟიმის თაობაზე ესვენოს; ოკუპანტი სახელმწიფო კი იმრიზება და უარზე, თუმცა „ოკუპანტი ქვეყნის“ მოქალაქეები უვიზოდ შემოდიან „ოკუპირებულ ქვეყანაში“.

არაქართველის და არარუსის თვალში ეს როგორ ჩანს-მეთქი — ამაზე ვსაუბრობ, თორემ ჩვენ რა ინტერპრეტაციას ვაძლევთ, სააკაშვილი როგორ ხსნიდა სავიზო რეჟიმის ცალმხრივ გაუქმებას, ან დღევანდელ ხელისუფლებას რატომ მიაჩნია მინცდამაინც ეს პრიორიტეტად — სულ სხვა საქმეა და ბევრს არავის აინტერესებს.

არანაკლებ კომიკური იყო დისკუსია თუ ვინ უნდა შეხვედეს ლავროვს. „ოცნების“ დეპუტატმა ქანთარია გაბუა და თქვა (შინაარსობრივად სწორედ ეს თქვა): „საეჭვოა „დიპლომატიად“ წოდებულმა ქართველმა დოკლომატიამ ლავროვს სერგეი ლავროვი დასწავლა, კიდევ ვინ უნდა დაეხმოს მას?“

ბულმა ქართულმა დოკლომატიამ ლავროვს სერგეი ლავროვი წინააღმდეგობა გაუწიოს ან რაიმე შედეგი დადოს. მით უმეტეს დღევანდელმა მინისტრმა. ამიტომ, სჯობს ლავროვის „ვიზა“ ის ადამიანები იყონ, ვისაც თუნდაც რაიმე გამოცდილება აქვთ და ჰალსტუხის შერჩევის გარდა კიდევ იციან ან ეხერხებათ რაიმე დიპლომატიაში. იმდენად მაინც, რომ რუსული დიპლომატიის მასტოდანთან (ვისთანაც ინგლისელ, ფრანგ და ამერიკელ კოლეგებსაც უჭირთ პაექრობა) ასით-ნოლზე მაინც არ წააგონო.“

# ქართული დოკლომატია

## რატომ გაახსენდა პანკისი სერგეი ლავროვს?

ისტორია, რომელიც დეპუტატ ქანთარიას განცხადებას მოჰყვა, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სწორედ ამის თქმა უნდა: „ბოლო 25 წლის განმავლობაში, ქართულმა დოკლომატიამ უკლებლივ ყველა დიპლომატიური რაუნდი წააგო და რა საკადრო რესურსიც გაგვაჩნია, ის მაინც გამოვიყენოთ, თუკი ლავროვთან შეხვედრას ვგეგმავთ.“

თუმცა, ნამდვილად სჯობდა ბატონ ქანთარიას ეს განცხადება მინისტრის დანიშვნისას გამოეთქვა. მაგრამ მას ხომ არავინ ეტყობა: მთავარი მიმართულება რუსეთთან მოლაპარაკებაა; ახალი მინისტრის დამტკიცებისას უფრო „ნატო-ევროკავშირის“ და „ევროატლანტიკურ კურსზე“ იქნებოდა საუბარი, რაც ბევრად იოლი სალაპარაკოა, ვიდრე ლავროვთან „ჯახი“, მიუხედავად იმისა, რომ „ოკუპანტი ქვეყანასთან“ უვიზო რეჟიმი დღის წესრიგის მთავარ საკითხად და ეროვნულ მიზნად ვაქციეთ ჩვენდა სამარცხვინოდ.

ვიმეორებ: ეს რამდენად ამაზრუნია, ამას, ჩვენს გარდა, ყველა ამჩნევს. მათ შორის, რასაკვირველია, თვით ლავროვიც.

თუმცა, მთავარმა რუსმა დიპლომატმა ქართველი ჟურნალისტის კითხვა და პრესკონფერენციაზე ბევრად მნიშვნელოვანი განცხადებითვის გამოიყენა: ვითომ მოულოდნელად, პანკისის სეობაც ახსენა იმავე კონტექსტში, რაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა

განვითარება, დიპლომატიური კავშირის აღდგენა, უვიზო მიმოსვლა და გაპრომოტიანი მიმდინარე მოლაპარაკებები. ფაქტურად, ამით, საქართველოს მთავრობას მორიგი ულტიმატუმი წაუყენა: „აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ გარდა ჩვენ კიდევ გვაქვს ბერკეტები თქვენს წინააღმდეგ და თუ გვყვანად არ იქნებით, პანკისის თემს ვვლავ ავაგორებთ.“



რამი დაგვიდრდა. შემდეგ, ედუარდ შევარდნაძის თანხმობით, რომელიც კვლევის კოლოფებმა საქართველოს ძალიან სტრუქტურებში (დღემდე გაურკვეველია ვინ და არც არავინ იძიებს თუნდაც ურნალისტური ინტერესით) ეს რამი აფხაზეთში, — კოდორის ხეობაში გადაისროლა. იქ მათ გაეროს დამკვირვებელთა ვერტიკალი ჩამოაგდეს, რამდენიმე უცხოელი „მონიტორი“ მოკლეს. ამით რუსეთმა მიიღო შესაძლებლობა ამერიკა-ევროპასთან კონსულსისთვის მიეღწია და ნიკოლა სარკოზიმ (დიახ, დიახ, ეს ბევრს აღარ ახსოვს, სწორედ „იმ“ ნიკოლა სარკოზიმ, რომელიც მაშინ საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო) საქართველოს ლადა დააღწია. ნაშაულა ტერორიზმის მხარდაჭერაში!

დღეს კოდორში გილავეის რაზმი აღარ არის, მაგრამ, გარკვეული აზრით, ბევრად უარესი სიტუაციაა, რადგან თუკი გილავეის დასავლეთი ასე თუ ისე „ჩეჩენ ნაციონალისტად“ და „ჩეჩენ მეამბოხედ“ თვლიდა, ანუ ისლამისტ ტერორისტებს არ უტოლებდა, „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეები წმიდა წყლის ჯოჯოხეთის მოციქულები, „ფანატიკოსთა არმიის ჯარისკაცები“ არიან და მოსკოვს, თუკი დასჭირდა, სულ იოლად შეუძლია პანკისის თემის ხელახალი „გაპიარება“ საქართველოს წინააღმდეგ. ახალი აგრესიის განხორციელება კი, ამ საბაბით!

ტყუილად გვაქვს იმედი, რომ „ყირიმის და დონბასის გამო აღარ დაუჯერებენ“: ამ თემაზე დაუჯერებენ, სხვა თემაზე — არა! ასეთია დასავლური მიდგომა, — „ფრაგმენტული თანამშრომლობის“ მეთოდი (ანუ გააჩნია სად, ვისთან და როგორ), რომელსაც აქტიურად იყენებენ. მით უმეტეს „გადატვირთვის პოლიტიკის“ ფარგლებში, რომელიც დღევანდელი პრეზიდენტის ბარაკ ობამას მმართველობისას დაინიშნა და მომავალი პრეზიდენტის, ჰილარი კლინტონის (ყოფილი სახელმწიფო მდივნის) დროს აუცილებლად გაგრძელდება.

ესე იგი, ლავროვმა, ამ თითქოს ძველისძველი არგუმენტის „დასავლური კიდობანიდან“ ამოღებით, პირდაპირ დააშანტაჟა კვირიკაშვილის მთავრობა და ისე დააყენა ქვეყანა არჩევანის წინაშე „ცუდსა და უარესს“ შორის: პანკისში კონტროლის გაძლიერება აუცილებლად იგულისხმებს ზენოლას იმ ტერორისტთა ახლობლებზე და ნათესავებზე, ვინც სირიაში წავიდა. არადა, პანკისელი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი სწორედ იქაა. ეს ზენოლა, თავის მხრივ, გამოიწვევს ექსცესებს, დაპირისპირებას, რასაც აგრეთვე გამოიყენებს რუსეთი. მაგრამ თუ ხელისუფლება დათმობაზე არ წავა „გაზარდობის“ თუ სხვა საკითხებში, მაშინ უამრავი მასალა აქვთ თემის გასააქტიურებლად და საინფორმაციო დივერსიების მოსაწყობად. თუნდაც სოფო შევარდნაძის (ლირსეული ბაბუს ლირსეული შვილიშვილის) ძალზე ნიჭიერი არხით Russia today.

ამ რთულ ვითარებაში, დიპლომატიის ნაცვლად დოკლომატია რომ გვყავს ერთი, მაგრამ გვიკავია „ჩართული“ საქართველოს საპარტიკული საშუალებები. სერგეი ლავროვის განცხადებას ახსენებთ, მისი განცხადება არა თბილისში, არამედ ვაშინგტონში, სახელმწიფო დეპარტამენტის მხრივ განცხადებას კლინტონის მიერ. სერგეი ლავროვის განცხადებას ახსენებთ, მისი განცხადება არა თბილისში, არამედ ვაშინგტონში, სახელმწიფო დეპარტამენტის მხრივ განცხადებას კლინტონის მიერ. სერგეი ლავროვის განცხადებას ახსენებთ, მისი განცხადება არა თბილისში, არამედ ვაშინგტონში, სახელმწიფო დეპარტამენტის მხრივ განცხადებას კლინტონის მიერ. სერგეი ლავროვის განცხადებას ახსენებთ, მისი განცხადება არა თბილისში, არამედ ვაშინგტონში, სახელმწიფო დეპარტამენტის მხრივ განცხადებას კლინტონის მიერ.

**არადა, თუ საბარათივით გაიშვით, თუ საბარათივით, ლავროვის მორიგი პრომოკაცია სომხურად არაა, და უფარავი, თამაშური მუხარამ იმედი!**

მაგრამ აქ, ისევე და ისევე, ისმის აბეზარი კითხვა: რატომ უნდა „ჩაერიონ“ ასე ღრმად და რატომ უნდა შეინახონ თავი, თუკი თვით საქართველოს ხელი-სუფლებას და (როგორც გარედან ჩანს დამახინჯებულად), ქართულ საზოგადოებას, რუსეთთან „დღის წესრიგის“ უმთავრეს საკითხად „ოკუპანტი ქვეყანასთან“ უვიზო რეჟიმის მიღწევა მიაჩნია?

**მიხეილ ბანაძე, 2016-01-30**

### © პარიზული ჭიქაში

## საიდან დასკვნას ავრჩევთ გოგონებმა, რომ მათი გამაუჟანტოებელი ქართველები იყვნენ?

ბაქოში ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის ინფორმაციით, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ქართველმა სამხედროებმა მცირეწლოვანი გოგონების წინააღმდეგ სექსუალური ძალადობა განახორციელეს. კომისარიატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, რომ გაეროს წარმომადგენლებმა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში არაერთ გოგონასთან ინტერვიუ ჩაატარეს. „ორმა გოგონამ ინტერვიუს დროს თქვა, რომ ისინი ევროკავშირის მისიის ფარგლებში მყოფმა სამხედროებმა გააუჟანტოეს. კიდევ ორმა გოგონამ კი განაცხადა, რომ მათ სექსუალური კავშირის სანაცვადოდ სხვა მისიის სამხედროებმა ფული გადაუხადეს. სამხედროების ნაწილის ეროვნება უცნობია, სამი გოგონას აზრით კი, მათზე ძალადობა მისიის ქართული კონტინგენტის სამხედროებმა განახორციელეს“, — აღნიშნულია ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, რომ „გარდინამა“ შარშან სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ცენტრალური აფრიკაში სამხედრო მისიების სამხედროების მხრიდან ბავშვებზე სექსუალური ძალადობაში ქართველი სამხედროებებიც მონაწილეობდნენ საუბარი იყო, 2013 წლის დეკემბრიდან 2014 წლის ივნისამდე პერიოდზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 2014 წლის შემოდგომის მისიის შესახებ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებას ეხმაურება. უწყების განცხადებას „ჯი-ეი-ენი“ უცვლელად გთავაზობთ:

„ჩვენ დიდი ყურადღებით და შემფოთებით გავცნობთ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებას — ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 2014 წლის შემოდგომის მისიის შესახებ.“

მტკიცედ გგვერა, რომ თითოეული ჩვენგანი, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ყველაფერს უნდა აკეთებდეს, რათა მსგავსი დანაშაულის ჩამდგენმა პირებმა პასუხი აგონ. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არიან ისინი, რომელ ქვეყანას წარმოადგენენ და რა ენაზე საუბრობენ. საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოს მთავრობისა და შეირაღებული ძალებისთვის.

ჩვენი მიზანია, მოხდეს ამ საქმის დეტალური გამოძიება და ასეთი უმძიმესი დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში, ჩამდგნი პირები, მართლმსაჯულების წინაშე წარსდგნენ.

დღეს, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის ოფისის მიერ ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, პოტენციურად

ექვმიტანილია მისიაში მონაწილე თითოეული სამხედრო მოსამსახურე. მათ ჰყავთ ოჯახები, მათი უდიდესი უმრავლესობა პატიოსნად და თავდაუზოგავად ემსახურება სამშობლოსა და საერთაშორისო უსაფრთხოებას. ამიტომ, დაუშვებელია, რამდენიმე ადამიანის ქმედებამ, ასეთის დადასტურების შემთხვევაში, ჩრდილი მიაყენოს საქართველოს შეიარაღებული ძალების სახელს და პრესტიჟს.

ქართული სახელმწიფო და, უპირველეს ყოვლისა, თავად ქართული ჯარი, 17 წლის განმავლობაში თავდადებით ემსახურება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ამოცანას და იმავსე გააგრძელებს მომავალშიც, როგორც მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების ყველაზე საიმედო და სანდო პარტნიორი. ასე იცნობენ ჩვენს ჯარს, ასეთად მოისწავნიან ჩვენს ჯარისკაცებს, და ყოველ ჩვენგანს შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი ბიჭებით.

სწორედ ამიტომ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უპირველესი ამოცანაა უმოკლეს ვადებში გამოვიძიოთ ფაქტები. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრებათ კონკრეტულ პირებს, ვინც ჩაიბინა ქართველი სამხედრო მოსამსახურისათვის უდიდესი ქმედება, შეურაცხყოფა მიაყენა ქართველი სამხედროების სახელსა და რეპუტაციას. მანამდე კი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებიდან ჩამოცილებულია ყველა, ვისი პირდაპირი ვალდებულება იყო 2014 წელს ფაქტების გამოძიება და სიმართლის გარკვევა“, — ნათქვამია განცხადებაში.

გიუჯეტიზაცია

ხელფასები - პრემიებისა და სახელფასო დანამატების დამატება?

არასამთავრობო ორგანიზაციები კვლავ სახელფასო დანამატებსა და პრემიებს მიუბრუნდნენ და მორიგი საჯარო ინფორმაციაც გამოაქვეყნეს. როგორც ცნობილია, დანამატების საკითხი 2017 წლამდე არ დარეგულირდება. ასე რომ, მსგავსი ინფორმაციები წელსაც არაერთგზის გავრცელდება.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორი“ თბილისის საკრებულოდან გამოთხოვილი ოფიციალური მონაცემების საფუძველზე, კვლევის შედეგებს აქვეყნებს. მონაცემები თბილისის საკრებულოს თანამდებობის პირების, აპარატის შტატი გათვალისწინებული და შტატგარეშე მომსახურე თანამშრომლების მიერ დეკემბერში პრემიისა და დანამატის სახით მიღებულ თანხებს მოიცავს.

„მედიატორის“ მონაცემებით, დეკემბერში საკრებულოს 26 დეპუტატის ანაზღაურებამ 63 800 ლარი შეადგინა, 24-მა დეპუტატმა (თანამდებობის პირები) დანამატის სახით 37 871 ლარი მიიღო.

აპარატის თანამშრომლების სარგომ 253 364 ლარი, პრემია - 366 963 ლარი, ხოლო დანამატმა - 113 564 ლარი შეადგინა. საკრებულოს შტატგარეშე თანამშრომლებმა დეკემბრის თვეში სარგოს სახით - 310 173 ლარი, ხოლო პრემიის სახით - 48 827 ლარი მიიღეს. სულ გაცემული პრემიების თანხობრივმა მაჩვენებელმა 415 790 ლარი, დანამატების მაჩვენებელმა - 151 435 ლარი, ხოლო პრემია-დანამატების ჯამმა - 567 225 ლარი შეადგინა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ კი პრემიების საკითხების გარკვევას რეგიონებში შეეცადა. მათ მიზანში სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაცია ამოიღეს. უნდა ითქვას, რომ ეს სახელმწიფო სტრუქტურა ერთ-ერთი ყველაზე არარეგულირებადი მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა, ეს სულაც არ უშლით მათ ხელს წლის განმავლობაში სოლიდური ანაზღაურებას გამოკრან ხელი.

სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით შარშან 1 114 928,69 ლარი გაიცა, მათ შორის, პრემია - 463 817,5 ლარი, სახელფასო დანამატი კი - 680 111,9 ლარი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ინფორმაციით, 2012-14 წლებთან შედარებით, შემცირებულია პრემიების გაცემის სიხშირე და ოდენობა, თუმცა 2015 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სახელფასო დანამატის გაცემის მაჩვენებელი.

„2015 წლის განმავლობაში სახელფასო დანამატი ყველა სამხარეო ადმინისტრაციაში ყოველთვიურად გაიცემოდა. თანამდებობის პირთა მიერ აღებული პრემიისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ასევე გურჯისტანის სამხარეო ადმინისტრაციებში მოგვანოდეს. სხვა სამხარეო ადმინისტრაციების მიერ მონოდეზინფორმაციაში კი, მხოლოდ წლის მანძილზე პრემიისა და დანამატის სახით გაცემული თანხის ჯამური ოდენობა ასახულია, - ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ კვლევაში.

2015 წელს პრემიის სახით ყველაზე დიდი თანხა - 63 960 ლარი - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გაიცა; 2015 წელს სახელფასო დანამატის სახით ყველაზე დიდი თანხა გაიცა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში - 167 712,26 ლარის ოდენობით. კვლევის მიხედვით, შარშან გაცემული პრემიისა და სახელფასო დანამატის საერთო მაჩვენებელითაც პირველ ადგილზე სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაა (204 769,76 ლარი).

არასამთავრობო მონაცემებით აშკარად ჩანს, რომ ჩინოვნიკები ვერაფრით გადაეჩვენნენ ბიუჯეტიდან დაუმსახურებლად გაზრდილი თანამდებობრივი სარგოს მიღებას. ეს კი, უნდა ითქვას, სად, ისევე ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მიუშობს. ხალხი ძალიან ნეგატიურად რეაგირებს ასეთ ფაქტებზე. ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოსი ანდრია გვიდიანი ადასტურებს, რომ ბოლო დროს პრემიები სახელფასო დანამატებმა ჩაანაცვლა, რაც სწორი პრაქტიკა არ არის.

„ყველაფერს თავისი სახელი უნდა ერქვას. გარკვეულწილად, მოსაწესრიგებელია პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის სისტემა. მთავრობამ ეს ერთხელ მოაწესრიგა და პრემიების გაცემის საკითხი მოაგვარა, თუმცა, როგორც ხედავთ, ის დღეს სახელფასო დანამატებით არის ჩანაცვლებული. ამ საკითხის ირგვლივ ყოველთვის იყო გარკვეული ტიპის სპეკულაციები. ამიტომ, ვთვლი, რომ ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ საკანონმდებლო დონეზე უნდა მოგვარდეს. როგორც ვიცი, ამ საკითხზე მუშაობა დაწყებულია და როგორც პრემიები აცხადებს, 2017 წლისთვის უნდა მოგვარდეს“, - აცხადებს გვიდიანი.

ეს ნიშნავს, რომ საარჩევნო წელსაც უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატი სახელფასო დანამატების, წახალისების თუ პრემიების გამოწვევით იქნება დაკავებული. ზეპა დანელია

სიხლის დადებითი შედეგები



ბინის დაქირავება გაიფლა: ახალმა კანონმა დადებითი შედეგი გამოიღო

ბინის დაქირავების მიღებულ შემოსავალზე გადასახადის შემცირებამ ქირა გააიფლა. მთავრობის გადამწყვეტი იყო, ფიზიკური პირის მიერ ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი ბინის დაქირავების მიღებული შემოსავალი 20%-ის ნაცვლად 5%-ით იბეგრება. ნორმა რამდენიმე თვეა, რაც ამოქმედდა.

როგორც უძრავი ქონების სააგენტოებში განაცხადეს, ცვლილებამ დადებითი შედეგი უკვე გამოიღო. კონკრეტულ რიცხვებზე საუბარი სააგენტოებში უჭირთ, თუმცა, აცხადებენ, რომ ცვლილების შემდეგ გამქირავებულების განწყობა მკვეთრად შეცვლილია.

კომპანია „რემაქსის“ ხელმძღვანელი მარიამ ასათიანი აცხადებს, რომ თუ ადრე გამქირავებულებს არ სურდათ ფასის დაწევა, რადგანაც გადასახადის სახით თანხის 20%-ი ბიუჯეტისთვის უნდა გადაეხადათ, ახლა ეს სიმძიმე მოიხსნა და უფრო მეტი ადამიანი მზად, ფასიც დააკლოს და 5%-იანი გადასახადი გადაიხადოს. გამქირავებულების საკმაოდ დიდი ნაწილი გადასახადს არ იხდიდა, შემცირებული გადასახადის ფონზე კი მათ კანონის დარღვევა აღარ უღირთ.

„ნამდვილად გამოიღეს შედეგი - რასაც სახელმწიფო ვერ აკონტროლებდა, იმ ნაწილში. კომერციული მიზნით დაქირავების შემთხვევაში, როგორც წესი, ისედაც რეგისტრირდებოდა ხელშეკრულებები, რადგანაც აქ დარღვევის აღმოჩენის მაღალი რისკია. რაც შეეხება ბინების დაქირავებას, ძალიან დიდი წილი იყო იმის, როცა არ იხდიდნენ გადასახადებს. ახლა, ეს 5% არ უღირთ იმად, რომ დაჯარიმდნენ, დაარღვიონ კანონი. 5% არის ის მოტივაცია, რომ დაარეგისტრირონ და გადაიხადონ გადასახადი“, - აცხადებს მარიამ ასათიანი.

მისი თქმით, ერთი მხრივ, შედეგი არის ის, რომ გადასახადის აკრეფა უფრო სრული გახდება და მეორე მხრივ, დაინაო გამქირავების ღირებულებამ. მიუხედავად დადებითი შედეგებისა, „რემაქსის“ ხელმძღვანელს ხელისუფლებასთან რეკომენდაცია აქვს. მისი თქმით, კარგი იქნებოდა, თუ შეღავათიანი გადასახადი მხოლოდ ფიზიკურ პირებს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე არ გავრცელდებოდა და შეეხებოდა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შორის დადებულ ხელშეკრულებაზეც.

„იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობის ნაწილისთვის ეს არის ერთადერთი შემოსავალი, სასურველი იქნებოდა, რომ

ასე კი არ იყოფოდა, რომ 5%-ით მხოლოდ ის ბინები იბეგრებოდა, რომლებიც კომერციული დანიშნულებით არ ქირავდება. არამედ ეს 5% უნდა შეეხოს იმ ბინებსაც, რომლებიც ქირავდება კომერციული დანიშნულებითაც. რეალურად, იმის გარკვევა, რისთვის იყენებს დამქირავებელი ფართს, ძნელია. შეიძლება ადამიანი იქირაოს ფართი საცხოვრებლად და შემდეგ გააკეთოს იქ სალონი. გაუგებრობები თავიდან რომ ავიცილოთ, ეს კარგი ცვლილებები იქნება“, - აცხადებს „რემაქსის“ ხელმძღვანელი.

გაიაფების ტენდენციამ საუბრობს უძრავი ქონების სააგენტო kib.e-ს დამფუძნებელი ნელი გოგუაძეც. მისი თქმით, ცვლილებამ გამქირავებულებს ფასების კლების შესაძლებლობა მისცა. „თუ 1000 დოლარად ქირავდებოდა ბინა, საიდანაც 20 პროცენტი იყო გადასახადი ბიუჯეტში და მფლობელს 800 დოლარი რჩებოდა, ახლა ისინი გვეთანხმებიან, რომ გაქირავდეს 850 დოლარად და იგივე შემოსავალი მიიღონ. ბევრი გვეთანხმება ამაზე. მაგალითად, გვაქვს ერთი ბინა, რომელიც ქირავდებოდა 600 დოლარად, საიდანაც 120 დოლარი იყო საშემოსავლო გადასახადი და ახლა აქირავებს 500 დოლარად, რადგანაც იგივე შემოსავალი აქვს“, - აცხადებს ნელი გოგუაძე.

მისივე თქმით, დღეს ბევრად მეტი ადამიანი თანახმაა, რომ ბინის დაქირავების შემთხვევაში ოფიციალურად გააფორმოს ხელშეკრულება და საშემოსავლო 5% გადაიხადოს. „ჩვენ ვინც გვირეკავს და ბინების დაქირავებას გვთხოვს, ყველას ვუხსნი, რომ არ უნდა დამალოს შემოსავალი და ოფიციალურად გააფორმოს ხელშეკრულება. ეს უნდა გააკეთოს ყველამ, რადგანაც 5% არ არის ის გადასახადი, რომელიც შეიძლება დამალო. ვისაც შევთავაზებთ მსგავსი რამ, ყველამ გვითხრა თანხმობა“, - აცხადებს ნელი გოგუაძე.

რეალურად რა შედეგები მოიტანა საგადასახადო ცვლილებამ და მიაღწია თუ არა ხელისუფლებამ მიზანს - შეემცირებინა უკანონო შემოსავლები და გაეზარდა ოფიციალური რეგისტრირებული ხელშეკრულებების რაოდენობა - ამის შესახებ ოფიციალური მონაცემები „კომერსანტმა“ შემოსავლების სამსახურისგან გამოითხოვა და მას მიღებისთანავე შემოგთავაზებთ.

წყარო: Commersant

გიუჯეტი

კორპორატივმა საბაზისად კანონმდებლობაში სვლილებებზე იქნება დამოკიდებული

საბარტემალუს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, ესტონურ მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით, სამთავრობო უწყებებთან და ბიზნესსწრებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. „სავარაუდოდ, თეგურელის ბირველ ნახევარში კანონპროექტი საქართველოს მთავრობას და შემდეგ პარლამენტს წარედგინება. ამის შესაბამისად შემდეგ მოხდება ბიუჯეტის გა-

დახედვა, თუმცა, დღეს მოცულობებზე საუბარი ნაადრევია, ვინაიდან ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორი დიზაინის იქნება, საბოლოო ჯამში, საქართველოს ახალი საგადასახადო კანონმდებლობა და როდის დაიწყებს მისი ძალაში“, - აღნიშნა მინისტრმა. რაც შეეხება ლარის კურსს, ნოდარ ხადური აცხადებს, რომ საკმაოდ ოპტიმისტური განწყობა არსებობს. „ლარზე დამატებით დაწოლას არ მოგვიტოვებ. საკმაოდ ოპტიმისტურად ვართ განწყობილები. დღეის მდგომარეობით, ბლუმბერგზე ერთი დოლარის ვაჭრობა 2,46 ლარის კურსით ხდება. ასევე ვალუტის კურსი დაწეულია ვალუტის გადამცვლელ ჯისურებშიც. მინდა გითხრა, რომ შიდამაკროეკონომიკური პარამეტრები არ არის შეცვლილი და გაუარესებული. ისევე როგორც ბიუჯეტი და სახაზინო ოპერაციები არ ახდენს დაწოლას გაცვლით კურსზე“, - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

მთავრობა სარჯების შექმნასა და მსჯელობს

ბმის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი ვიდეო განაცხადა. მისი თქმით, ლარის კურსის სტაბილიზაციისათვის ეს აუცილებელი იქნება. „რა თქმა უნდა, ამაზე ვმსჯელობთ. საგადასახადო რეფორმის, ანუ ესტონურ მოდელზე გადასვლის ერთ-ერთი კომპონენტი საბიუჯეტო სარჯების შექმნაა და ეს აუცილებლად იქნება ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ამ საგადასახადო რეფორმის, რაც თავის მხრივ, ლარის კურსზეც დადებით ეფექტს მოიტანს“, - აღნიშნა პრემიერმა. მთავრობას ბიუჯეტის სარჯებით ნაწილის კორექტირების კონკრეტული მოუწოდებს.

# თბილისის ოპერის თეატრი, როგორც რუსეთის მეფეებს, საბჭოთა კავშირსა და სამოქალაქო ომს გადაურჩა, ხელახლა იხსნება

თბილისის ოპერისა და ბალეტის განახლებული თეატრის გახსნას სტატიას უძღვნის გავლენიანი ბრიტანული გაზეთი „გარდიანი“. სტატიის ავტორი ოპერის დირექტორს ზურაბ ლომიძეს, სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელ ნინო ანანიაშვილს, „ქართუს“ საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანს და არქიტექტორ ლერი მექმარიაშვილს ესაუბრა.

„გარდიანი“ აღნიშნავს, რომ ქვეყნის ყველაზე მდიდარი ადამიანის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაფინანსების წყალობით, პრესტიჟულ დაწესებულებას წარსული დიდების დაბრუნების იმედი აქვს.

ზურაბ ლომიძე თბილისის ოპერის თეატრის დირექტორი 1991 წლის სამოქალაქო ომის დროს იყო. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის პროსპექტზე სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, მას და ოპერის თეატრის სხვა თანამშრომლებს შენობა არ დაუტოვებიათ.

„ერთ დღეს სამხედრო პირთა ჯგუფმა შემოსასვლელი კარი დაცხრილა და გამოაცხადა, რომ თეატრის შენობა თავშესაფრად სჭირდებოდა“, – იხსენებს ზურაბ ლომიძე. „მათი ნასვლის შემდეგ შემოსასვლელი კარი და კედლები ტყვიებით იყო დაცხრილებული. მიწოდდა ეს დაზიანებები შუშის ქვეშ მომექცია, წარწერით – „კულტურას ასე არ ეპყრობიან“.

პოსტსაბჭოთა არეულობამდეც თბილისის ოპერის თეატრი ორჯერ დაინვა. თეატრს განადგურების საფრთხე მაშინაც დაემუქრა, როდესაც მისი შენახვის სახსრები ამოიწურა. თუმცა ახლა, 16 წლის ოპერისა და ბალეტის თეატრისთვის ახალი ერა იწყება. ექვსი წლის განმავლობაში, ქვეყნის ყველაზე მდიდარი ადამიანის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოყოფილი მრავალი მილიონის წყალობით, განახლებული ოპერისა და ბალეტის თეატრი კვლავ იხსნება.

„იმედი გვაქვს, რომ ეს საქართველოს კულტურის ხელახლა დაბადებას შეუწყობს ხელს“, – ამბობს ნინო ანანიაშვილი, საქართველოს სახელმწიფო ბალეტის დირექტორი, – „კულტურა ჩვენი სახეა“. დიდ გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე მსახიობები ბოლო რეპეტიციას გადიან. სეზონს, ტრადიციულად, „აბესალომ და ეთერი“ გახსნის.

ლომიძე, ოპერის ტექნიკური დირექტორი, მოსამზადებელ სამუშაოებს ზედამხედველობდა. იგი პირადად დარწმუნდა, რომ გიგანტური, 3.5 ტონა წყლის 800 ნათურა სრულად იყო გამოცვლილი.

საქართველოს სამსახიობო ხელოვნების მრავალსაუკუნოვან ტრადიციას საფუძველი რუსეთის იმპერიისა და, მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის მიერ ქვეყნის ანექსიამდე ჩაეყარა. ოპერის თეატრის ისტორია მჭიდროდა დაკავშირებული საქართველო-რუსეთის დაძაბული ურთიერთობის ისტორიასთან.

რუსეთის იმპერატორის კავკასიის მთავარმმართველმა ოპერის თეატრი

დაუმორჩილებელი ქართველების გულის მოსაგებად და მოსკოვისადმი მათი ერთგულების გასაზრდელად ააგო. კომუნისტური რეჟიმის დროს თბილისი, მოსკოვის შემდეგ, ოპერისა და ბალეტის ერთ-ერთ ცენტრად ითვლებოდა.

სამოქალაქო ომის შემდეგ, 1990-იან წლებში, ოპერის თეატრის ხელახლა გახსნის შემდეგ, ბილეთების ღირებულება იმდენად მცირე იყო, რომ თანამშრომლებისთვის ხელფასის გადახდა შეუძლებელი გახდა. „მიუხედავად იმისა, რომ შენობაში საშინლად ციოდა, ბილეთებზე მოთხოვნა ძალიან დიდი იყო,“ – ამბობს ლომიძე, – „შეიძლება ოპერა ფუფუნების საგანია, მაგრამ იმ წლებში იგი საქართველოსთვის აუცილებელი გახლდათ.“

გასული ათწლეულის განმავლობაში საქართველოს წინსვლის მიუხედავად, ნეობაროკოული სტილის შენობის შენახვისა და დიდი მასშტაბის წარმოდგენებისათვის თანხის გამოჩახვა პრობლემად რჩებოდა. „სარემონტოდ დასურვის დროისათვის შენობა საშინელ მდგომარეობაში იყო,“ – ამბობს არქიტექტორი ლერი მექმარიაშვილი, – „თუმცა, შევეცადე, მისი პირველადი სახე შეემენარჩუნებინა“.

შენობის განახლებისთვის 100 მილიონ ლარზე (28 მილიონ ევროზე) მეტი გაიღო ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც ასევე აპირებს 2016 წლის განმავლობაში თბილისის ოპერაში დაგეგმილი ყველა წარმოდგენა დააფინანსოს.

შიდა პოლიტიკურ პროცესებზე მისი გავლენის გათვალისწინებით, გარკვეულ წრეებში კითხვის ნიშნებს იწვევდა ივანიშვილის მიერ ოპერის თეატრისა და ქვეყნის მასშტაბით სხვა მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსების მოტივი. 2012-2013 წლებში იგი საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო. ამასთან, მან დააარ-



სა ამჟამად მმართველი კოალიციის წამყვანი პარტია – „ქართული ოცნება“. შემოდგომაზე კოალიციას საპარლამენტო არჩევნები ელის. თუმცა, „ქართუს“ საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანი, რომელიც ოპერის თეატრის განახლების პროექტს ხელმძღვანელობდა, აცხადებს: „სარემონტო სამუშაოების დამთავრებას საარჩევნო წელს არ ვგეგმავდით“.

ჯერ კიდევ უცნობია, გაგრძელდება თუ არა ფინანსური დახმარება ოპერისა და ბალეტის ვარსკვლავების თბილისის თეატრში უკან დასაბრუნებლად. ბოლო წლებში ქართველ შემსრულებლებს წარმატებული კარიერა ჰქონდათ საზღვარგარეთ. ლადო ათანელსა და თამარ ივერს, რომლებიც კვირის ბოლოს აბესალომისა და ეთერის როლებს შეასრულებენ, მილანში და სკალას სცენაზე მრავალჯერ უმღერიათ.

ანანიაშვილი, რომელსაც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ბალეტის სახელი აქვს, 2004 წელს თბილისში დაბრუნებამდე, მოსკოვის დიდ თეატრსა და მსოფლიოს სხვა წამყვან თეატრებში ცეკვადა. მას ამ დღეების საქართველოში დაბრუნების იმედი აქვს. „ხშირად, როდესაც ვამბობ, რომ საქართველოდან ვართ, ჰუმანიტარული კრიზისის შედეგად ვართ აქ,“ – ამბობს ის.

theguardian.com



## ინფორმაცია

### „მომაველის ქალაქი“

თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლეჭენიაძე „მომაველის ქალაქის“ პროექტის პრეზენტაციას დაესწრო. პროექტი Morgenshtad, ანუ მომაველის ქალაქი, Fraunhofer-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ სორციელდება.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ თბილისის მერის საქალაქო სამსახურების წარმომადგენლები. შეხვედრის მონაწილეებმა პროფილის ფარგლებში არჩეული რვა პროექტი დეტალურად განიხილეს.

პროექტი გულისხმობს მომაველის ქალაქისთვის საჭირო სამოქმედო გეგმის ფორმირებას, თუ რა ქმე-



დებები უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ თბილისის ჩამოყალიბდეს, როგორც მომაველის ქალაქი, – განაცხადა თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლეჭენიაძემ. მისივე თქმით, პროექტის პირველ ნაწილში, რომელიც შეხვედრაზე განიხილეს, რამდენიმე სარეკომენდაციო მიმართულებაა წარმოდგენილი. როგორც თბილისის მერის მოადგილემ აღნიშნა, პრიორიტეტების შერჩევის შემდეგ რეკომენდაციების შესრულება დაიწყება. იგივე მომავლის ქალაქის პროექტი თბილისისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგანაც ის ასორციელებს ურბანული სისტემის შეფასებას და იმ ქმედებების ერთობლიობას აცხადებს, თუ რამ უნდა განაპირობოს ურბანული სისტემების წარმატება და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების ჩარჩო, – განაცხადა ირაკლი ლეჭენიაძემ.

XO-308-360

## უკიდებანო უმაღურობა

„ქართუს“ 40 000 000 დოლარი დაუჯდა ოპერის შენობის რეაბილიტაცია და გახსნა ხსოვლად 50 მოსაწვევი გადასახსნს

...რამდენიმე დღის წინათ, ერთი „ბევდოვლათის“ სტატუსის წავიკითხე – „30 იანვარს ოპერისა და ბალეტის თეატრის გახსნაზე ჯაგუნები მოხსნილია, იმითომ რომ „ქართუმ“ წაიღო მოსაწვევებით“ და კომენტარები – „ნება თუ იცინა, სად არის ეგ თეატრი“, „მისვდებიან თუ არა, აპლოდისმენტები როდის უნდა დაუკრან“ და ასე შემდეგ. ახლა კი რეალობა: – „ქართუს“ 40 000 000 დოლარი დაუჯდა ზაქარია ფაღვანიშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის რეაბილიტაცია, ხოლო გახსნაზე მას 50 მოსაწვევი გადასახსნს.

უტიფრობა და უმადურობა – უკიდებანო ამ ქვეყანაში.

საერთო ჯამში წლების განმავლობაში ფონდმა „ქართუმ“ რა თანხა გაიღო თეატრის სარესტავრაციო სამუშაოებისთვის. როგორც „ქართუდან“ მონოდებული ინფორმაციით ირკვევა, წლების განმავლობაში, ფონდიდან ამ მიზნით 58 724 306 ლარი გამოიყო. ამ თანხას ოპერისა და ბალეტის თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გაღებული თანხა – 40 მილიონი დოლარი ემატება, რაც საერთო ჯამში 143 724 306 ლარს შეადგენს.

● აქედან, ბათუმის დრამატული თეატრის რესტავრაციისთვის 778 400 ლარი გამოყოფილი. ფონდი „ქართუს“ ინფორმაციით, ბათუმის დრამატული თეატრის რესტავრაცია 2015 წელს დაიწყო და სამუშაოები ახლაც მიმდინარეობს.

● რუსთაველის თეატრის რესტავრაციისა და ტექნიკური აღჭურვილობისთვის, 2002-2005 წლებში 11 946 413 ლარი გამოიყო;

● მარჯანიშვილის თეატრის რესტავრაციისა და ტექნიკურ აღჭურვილობას მოხმარდა 4 991 758 ლარი (2005-2010წ.წ.);

● თუმანიშვილის თეატრის რესტავრაციისა და ტექნიკური აღჭურვილობისთვის გამოიყო 1 614 422 ლარი (2002-2004 წ.წ.);

● დუმბაძის მოზარდმსახურებელთა სახელობის თეატრის რესტავრაციისა და აღჭურვილობისთვის 4 336 678 ლარი დაიხარჯა (2005-2007 წ.წ.);

● გრიბოედოვის თეატრის რესტავრაციისა და ტექნიკური აღჭურვილობისთვის მიწიუმ 15 827 000 ლარი გამოიყო (2006-2009 წ.წ.);

● თავისუფალი თეატრის რესტავრაციისა და ტექნიკური აღჭურვილობისთვის გამოიყო 2 374 635 ლარი (2007-2008 წ.წ.);

● გაბრიადის სახელობის მარიონეტების თეატრის რესტავრაციისა და ტექნიკური აღჭურვილობისთვის – 2 031 000 ლარი (2007-2008წ.წ.);

● ჯანსუფი კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური აღჭურვილობისთვის 14 824 000 ლარი – (2000-2011 წ.წ.).

ეს იმდენად ტიპადი ციფრებია კომენტარს არ საჭიროებს!

კოკა ყანდიაშვილი. (facebook)

მართული სულიერების წყვილი სათელი

ბაზაში „თბილისის“ რედაქტორის სა- მუშაო ოთახი.

სტუმრად – თენგიზ მირზაშვილი. ის: ეთერ თათარაიძე გენიოსია. მ: ძალიან გადაჭარბებული ხომ არ არის?

- კარგი, ასე ვიტყვი: დიდი პოეტი.
- გენიოსი გალაკტიონია, დიდი პოეტი - ანა.
- დამიჯერე, არაფრით ჩამოუვარდება.
- ანას თუ გალაკტიონს?
- დამიჯერე, დიდი პოეტი...
- ქრთამად, ორი ნახატი მომცა, მაგრამ მაინც არ დავუჯერე.
- ვერ დავუჯერებდი, ეს თვითონ უნდა მეგონოდა და განმეცადა.
- რა თქმა უნდა, ვხედავდი, რომ „სისხლი ლექსად გასწურუნებდა“ (მურმან ლებანიძე), მაგრამ გულსა და ფიქრში მეც ამას ვემუდარებოდი: „ეგ ყვავილი თუშური სიტყვის, სტევი უფრო ნათლად, ცოტა უფრო მთავარქართულად“...

გვირილას მისას კი, რა თქმა უნდა, მეც იმედით ვუჭვრეტდი.

\* \* \*

არ ვიცი, რამდენ ხანს მიდიოდა ამირან არაბული ეთეროსაკენ, მე კი მისი პოეზიის შესაცნობად საკმაოდ დიდი დრო დამჭირდა და როცა ისინი ერთად აღმოვაჩინე, უზომოდ გავიხარე. თავის დროზე, ასევე მახარებდა მედია ჯაფარიძისა და რეზო თაბუკაშვილის, ნათელა იანქოშვილისა და ლადო ავალიანის, ლილი ლლოტიასა და ჯუმბერ ჭუმბურიძის მეუღლეობა.

განა შეიძლება, გულით არ გვახარებდეს შვილებითა და შვილიშვილებით დასუქნული ეთერო და ამირანი - ქართული სულიერების წყვილი სათელი...

\* \* \*

მბზრამ ახლა პოეზიაზე უნდა ვისაუბროთ...

მაინც რა არის პოეზია?

ამ კითხვაზე პასუხს რომ ეძებს, აკაკი განერელია ბოლომდე თავის განსაცვიფრებელ ერუდიციასა და იშვიათ ინტუიციასაც კი ვერ ენდობა და „საშველად“ ისეთ მსოფლიო ტიტანებს მოუხმობს, შეგეშინდება.

ერთმნიშვნელოვანი პასუხი კი არც მათ მოეპოვება.

მე მით უმეტეს არ ვიცი, რა არის პოეზია, მაგრამ ამის თქმა დაბეჯითებით შემიძლია: პოეტი ის, ვინც ზამთრის სუსხში ამონვერილ ყვავილს ასე დაელაპარაკება:

შენ რა გქვია, ყვავილო, თებერვალში მზათო, არ მოშიშო სიცვიც...

ეს ციცქნა მარგალიტი ლექსების იმ რკალიდანაა, ახლახან „ლიტერატურულმა გაზეთმა“ რომ გამოაქვეყნა.

აქამდე მოურიდებლად მშურდა ყვავილების, თათარაიძის ენა ჩემზე უკეთ რომ ესმოდათ. შემთხვევით არ უთხრა მურმანმა: „ჩიტუნას ჰგავხარ პანანუნას, რომელიც სჭყვივს და გაჩქარებით ათასნაირ ტკბილ ხმას გამოსცემს“... თავადაც ამბობს ერთ ახალ ლექსში:

ეტვობ, წინა ჩიტ ვიყავ... აღარ მშურს, ჩიტების, რადგან „მათი“



ენა უკვე მეც მესმის. ოლონდ, ზუსტად არ ვიცი, ეს მე ვისნავე „კითხვა“, თუ თათარაიძემ დაიწყო „უფრო ნათლად და მთავარქართულად“ თქმა?

ალბათ, ერთიცაა და მეორეც. ამას აღარც კი აქვს მნიშვნელობა - მთავარია, უკვე მესმის და მირზაშვილსაც ადვილად ვეთანხმები.

რა უნდა, მაგალითად, ამის გაგებას: შენ წვიმის ცრემლთ სტრი, ცაო, რაგვერც დარდს მე ლექსებად... რა დარდი იგულისხმება?

ქართველ პოეტს დარდს რა დაუთვლის და რა გამოუღვეს?!

მაინც რას დარდობს ეთერ თათარაიძე?

ცვალო ჩამოთვლა? მხოლოდ სამს ვიტყვი, რა თქმა უნდა, მისივე ლექსებით:

ფერადქალაქებიან კანფეტებს უგზავნიან შორს დაკარგულ დედებს, განაწირალ შვილებს რო უკვენ მუბრუნდებიან,

გვიან იქნებ ბნედე... გაუსაგის დრო დგას ეახლ, დრო კი არად ვერ ჩერდება, საქართველო დაღლილი, საქართველო ბერდება...

2. ვი, დამშვრალ სოფელო, ვი, დამშვრალ დიყო. 3. ჩემ ქვეყნის ცა-მზე სულ დაწმენილივ, - იცოდის მამამ.

სანამ მტრის ტყვიამ ცა არ დამიღწე, ვერ ვსწვდებოდი მამამდე...

მაგრამ პოეტმა არა მხოლოდ უნდა იწუხოს, იმედოც უნდა მისცეს სამშობლოს. თათარაიძისაგან სამშობლო სწორედ ამას მოელის. ეთერომ ეს იცის და ბავშვივით ჭირვეულობს:

რა იმედ მოგც, რა გირჩივე ბალღამრეულმ თავადაც...

მაგრამ ისიც იცის, რომ სამშობლოსთან ჭირვეულობა დაუშვებელია და პოეტის ვალი ნუგემისცემა. ნუგეში კი იმ ფიქრშია, ილიას, გალაკტიონს და ზვიად გამსახურდიას რომ უტარებიათ: „და ეს ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება“...

თათარაიძის ეს ლექსი პრინციპულად მნიშვნელოვანია და ამიტომ მთლიანად უნდა დავიმოწმო:

კავკასიას მინაფენ დაუთვალავ ფერებ, ათასჯურა ადათის მატარებელ ერებ, ათასნაერ ენაზე „იანანას“ მღერენ დასაბამითა დღემდის მტრისად ცრემლის მტრელებ.

სალხინოზე ცას მფრენიად სადარდოზდ გულ მგვრელებ. ერთგულისად ნაერთგულნ, ცით მასკვლავის

მფხვრელებ, ორგულისად დუნდობრად შავ საფლავის მთხრელებ, ერთმანეთის საშველად გულის ამომჭრელებ.

უფიქრელად თავმნაცვლელნ, ცეცხლში შემს - გამსვლელნ.

2. ამათ მომრევე ვინ არის, უფალო, თვალ არ მაშოკე ჩემ კავკასიას...

დააკვირდით, მარტო პირველი სტრიქონი რად ღირს: „კავკასიას მინაფენ დაუთვალავ ფერებს“...

აქვე არც იცის თქმა იქნება ზედმეტი: აი, ვინ უნდა ამის პარალმენტარი, გნებავთ მრჩეველი თუ ექსპერტი კავკასიის საკითხებში, ვის უნდა ეკითხებოდეს ჭკუას, ვის უნდა უგადადეს ყურს ხელისუფლება...

\* \* \* დღეს რომ აკაკი იყოს, ეთერ თათარაიძეს, ალბათ, ასე მიმართავდა: „ენას გინუნებ, თუშ-ქალო“, მაგრამ იქვე ამასაც

აუცილებლად დასძენდა: „თუმც კი გვითესავ მარგალიტს, მკითხველიც მასვე მკითხავ“...

საუბედუროდ, დღეს აკაკი არ გვყავს, მაგრამ, საბედნიეროდ, გვყავს მარგალიტების მთხველი პოეტი - ქალბატონი. ოლონდ, ეს უნდა ვიკითხოთ: ვმკითხვი მკითხველები მისგან დათესილ მარგალიტებს?

დღეს, როცა ჩვენზე დაუდევრობით, ასე დაკნინებული, გაღარბებული, შევიწროებული და პატივყარილია „ხმათა ხვერდების და ღმერთების ენა“ (ლადო ასათიანი), უგუნურებაა, არ ვენაფებოდეთ თათარაიძის შეურყენელ ქართულს. საკმარისია, ერთხელ, თავი ოდნავ შევიწუხოთ, რომ მისი სიმდიდრე და სიტყვო შევიგონოთ...

აი, მიუგდეთ ყური: რაგვერც ხატ საბძანისში, გულში მიზის სამშობლო.

\* \* \* ერთმან სამშობლოს ასე ეფერება: გულზე თავს შემოგავლებ, ედემს შესადრელაო...

მამულზე ფიქრში ზოგჯერ უიმედობაც მოეძალევა და ამას ათქმევინებს: გულ შენგულად შენ ნალოდ იმედო შემოჭნობამ...

მაგრამ იქ, სადაც თებერვლის სუსხში ყვავილი ამოანათებს, არმოშიში სიცვიც, შეუძლებელია, უიმედობამ და ისადაგუროს. პოეტმა კი ყველაზე უკეთ იცის, ეს ვისი წყალობაცაა, ვის უნდა უმადლოდეს: გამადლობ, ჩემ ტკვილ უფალო...

\* \* \* მითრო! - ასე მიმართავნ ახლობლები. უკვე დროა, ყველამ ასე მოვიხსენიოთ. მხოლოდ სახელით.

ვიცი, ამას რომ წაიკითხავს, შეიცხადებს, მე კი ისევ მურმანის ლექსი გამახსენდება: „გაოცებულხარ, გაოცება შენი მაოცებს“...

თავმდაბლობა მისი ბუნებრივი მდგომარეობაა.

აი, რას ამბობს: თავმდაბლობაზე უფრო ღვთიურ არაი... დამას ბჭობა არ უნდა არ, ანა-ბანაი...

მაგრამ თავმდაბლობა იმას არ ნიშნავს, რომ შემოქმედი საკუთარ სიმაღლეს ვერ გრძნობდეს. ასე მგონია, ეს თვით ფიროსმანსაც კი არ „ემსებოდა“...

ანა კალანდაძეს, ვისი თავმდაბლობაც ჭეშმარიტად საადრავაა, ერთ ლექსში მაინც წამოსცადა: „მე რა ვიციოდი, წინ ბულებულის ქნარი მელოდა“...

ამ რკალში ეთეროსაც დასცდა (და ძალიანაც კარგი):

ნუ სჩქაფუნობ, ეთერო, კარ იღების ცისაგ... მე თუ მკითხავთ, ეს წამოცდენა ფრიად დაგვიანებულია: ცის კარი მისთვის, დიდი ხანია, ღიაა...

იოსებ ჭუმბურიძე



კიბოს ემკურნალება

თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური იწყებს ახალი ადრეული ძუძუს კიბოს მკურნალობის დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელებას. სიახლე გუშინ ურნალისტებს თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გააცნო. ქვეპროგრამის ბიუჯეტი 3 მილიონი ლარია და მისი მიზანია ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და მკურნალობის კურსის ჩატარება.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს (HER2-დადებითი) ძუძუს ადრეული კიბოს (I-III სტადია) მქონე პირებისთვის პრეპარატ ჰერცეპტინის დაფინანსებას.

„პირველი თებერვლიდან თბილისის მერია იწყებს უბრეცევენტო პროგრამის განხორციელებას, რომელიც ადრეული ძუძუს კიბოს მკურნალობის დაფინანსების ქვეპროგრამა ითვალისწინებს ამ დაავადების მქონე პირთათვის პრეპარატი ჰერცეპტინის დაფინანსებას. სახელმწიფოს მიერ ამ პროგრამის განხორციელება უბრეცევენტო შემთხვევა და თბილისის მერია იქნება პირველი, ვინც აღნიშნულ პროგრამას განხორციელებს. მნიშვნელოვანია, რომ სოციალურად დაუც-

ვლებს, რომელთა სარეიტინგო ქულაც 150 000-ს არ აღემატება, მედიკამენტი სრულად დაუფინანსდება, ხოლო ყველა სხვა პირს 80%-ით. შესაბამისად, ამ უბრეცევენტო პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვნად შეუმცირებს ჩვენს მოქალაქეებს მკურნალობის ხარჯებს, პარალელურად კი, 40-45%-ით შეამცირებს რეციდივის რისკს, გაზრდის მკურნალობის ეფექტურობას და ადრეულ სტადიაში განკურნებასაც განაპირობებს. როგორც ხედავთ, ეს განსაკუთრებით მასშტაბური და საჭირო მომსახურებაა, აღსანიშნავია, რომ მსგავსი შედეგებლობა თბილისელებს არასოდეს ჰქონიათ, შესაბამისად, ჩვენს თანამოქალაქეებს პირველი თებერვლიდან საშუალება ექნებათ ჩაერთონ პროგრამაში და თბილისის მერიისგან მიიღონ დაფინანსება ადრეული ძუძუს კიბოს მკურნალობისათვის“, - განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერია, ქვეპროგრამის ფარგლებში, პაციენტებს პრეპარატის მაქსიმუმ 1-წლიანი კურსისთვის საჭირო თანხას აუნაზღაურებს. ამასთან, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულაც 150 000-ს არ აღემატება, მედიკამენტი სრულად დაუფინანსდება, ხოლო ყველა სხვა პირს 80%-ით.

ქვეპროგრამაში ჩაერთვებიან, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც ადრეული ძუძუს კიბოს დიაგნოზი (I-III სტადია) აქვთ და უნდა ჩაუტარდეთ ნეოადიუვანტური (ადიუვანტური) მკურნალობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარის ერთწლიანი კურსი (13 ფლაკონი ჰერცეპტინი) სოციალურად დაუცველ პირთა შემთხვევაში 35 100 ლარით დაფინანსდება, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში - 28 080 ლარით.

2006 წლიდან აშშ-ის და ევროპის ონკოლოგთა ასოციაციები HER2-დადებითი ძუძუს კიბოს შემთხვევაში რეკომენდაციას აძლევენ ჰერცეპტინით მკურნალობას, რომელიც 40-45%-ით ამცირებს რეციდივის რისკს, ზრდის მკურნალობის ეფექტურობას და ადრეულ სტადიაში განკურნებასაც განაპირობებს. პრეპარატი ჰერცეპტინი (საერთაშორისო დასახელება - ტრასტუსუმიბი) 2013 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ესენციური (აუცილებელი) მედიკამენტების ნუსხაში შეიტანა.

მერიის ინფორმაციით, აღსანიშნავია, რომ ჰერცეპტინით დაფინანსების თვალსაზრისით, სახელმწიფოს, კონკრეტულ შემთხვევაში კი, თბილისის მერიის მიერ მიზნობრივი პროგრამის განხორციელება უბრეცევენტო შემთხვევაა.

# „დროის იეროგლიფები“ და ქართული წერილობითი კულტურა

## წინააღმდეგარსი და ანგარიში დამწერლობის ტრადიციები

როსტომ ჩხეიძე მორიგ წერილში ციკლიდან „დროის იეროგლიფები“ („კორიბანტული იეროგლიფებიდან არმაზულ ასომთავრულამდე“, „საქართველოს რესპუბლიკა“, №224, 12 დეკემბერი, 2015 წელი) სათაურითვე მკაფიოდ მიანიშნებს, შემდგომ გრაკლიანის არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით პირდაპირ მიუთითებს, ხოლო ანტიკური ეპოქის წყაროების დეტალური ანალიზის შედეგად გულდაგულ ასაბუთებს, რომ პავლე ინგოროყვას სენსაციურ აღმოჩენას – არმაზულ ლიგატურებში ქართული ასომთავრულით შესრულებულ ქართველ მეფე-პიტიახშთა მონოგრამებს, როგორც ჩანს, იდეოგრაფიული დამწერლობის სახით, წინმსწრები, კერძოდ, ორიგინალური წერილობითი კულტურის მდიდარი ტრადიცია ედო საფუძვლად.

ამდენად, ქართულ წერილობით კულტურას ადრეული პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი და მას ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რომლის შესწავლის დროსაც უპირველესად მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართველური იდენტობის ვექტორებისა და ჩვენი ეთნოცნობიერების ორიენტირების სწორად გააზრებას.

აღსანიშნავი და საგულისხმოა, რომ ჩვენი თვითსახელწოდება, როგორც ქართველურ ენათა (სვანური ქართულის, ზანურ-კოლხური, კერძოდ, მეგრულ-ჭანური ქართულისა და მესხურ-იბერიული ქართულის, როგორც ენობრივი იდენტობის სამივე სახეობის) ეთნოლინგვისტური მონაცემების სრულად გაცნობიერების შედეგად ჩანს, ზანურ-მესხური (კოლხურ-იბერიული) წარმომავლობისაა.

მისი წარმოშობა, ბუნებრივია, უკავშირდება ქორონიმს **ქართლი**, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით მოიცავდა იმ ტერიტორიას, სადაც, ჩვენი ქვეყნის ისტორიული რეალიებიდან (სახელმწიფოებრივი გაერთიანებები – **დაიან-დვანი, კოლხა-კოლა**) გამომდინარე, თავდაპირველი ეთნო-ტოპონიმიკა სვანურ-ზანურია (კერძოდ, სვანურია – **წრომი, კოჯორი, ჯაჭუ**, ხოლო, ზანური – **კარ-სანი და კარ-ალ-ეთი**, ალვანი და **ალ[ვ]ან[ი]-ზანი, ზან-ა ვი და წან-არ-ეთი**, დვანი და **დგ-ალ-ეთი, ბუ-ის ხევი და [ბ]უ-ალ-ეთი** და სხვა), შემდგომი პერიოდისა კი, როგორც ცნობილია, სამხრეთ კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში განვითარებული სამხედრო აგრესიის (კიმირიელთა შემოსევების) შედეგად სხვა ქართული (კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლური) სახელმწიფოებრივი გაერთიანების მკვიდრთა აქ გადმოსახლების გამო – მესხურ-იბერიული. სავარაუ-

დოდ, ქორონიმი **ქართ-ლ-ი** და ეთნონიმი **ქართ-ველ-ი** წარმოქმნილი უნდა იყოს ზანურ-კოლხური სიტყვის ფუძისა (**ქართ-კართე** – „კალთა, მთის ფერდობი“) და მესხურ-იბერიული ენობრივი ფორმების – ბოლოსართების („**ქლ**“ და „**ელ**“) შერწყმით.

**ქართლი** („მთის ფერდობიანი ადგილი“), როგორც გარკვეული გეოგრაფიული მდებარეობის მქონე ადგილის აღმნიშვნელი კონკრეტული სახელწოდება (ტოპონიმი), რომლის მნიშვნელობაც საისტორიო წყაროში ზუსტადაა გადმოცემული და აღწერილი („და... მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის **არაგვ მტყუარსა**, და განვიდა **მთასა მას ზედა**“), ჯერ ეწოდა ციხე-სიმაგრეს („და პირველად შექმნა მუნ ზედა **სიმაგრე**“), შემდგომ ციხე-ქალაქსა („და იშენა მუნ ზედა **სახლი**“) და, შესაბამისად, ადმინისტრაციულ ცენტრს – დედაქალაქს, ხოლო ბოლოს, როგორც ჩანს, ქვეყანას („და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა **ქართლი** – ხუნანითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა“), რის გამოც შეიძინა ქორონიმის მნიშვნელობა.

ასევე სწორედ გარკვეული ადგილის მკვიდრის თავდაპირველმა სახელწოდებამ – **ქართველი** („მთიელი“) – საბოლოოდ მიიღო ქართლის, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს, მოქალაქის (ეთნონიმის) და, შესაბამისად, ნაციონალობის (ეროვნული იდენტობის) გამომხატველი ტერმინის მნიშვნელობა.

ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია და სამოქალაქო თვითშეგნება, ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის იდეა განაპირობებდა ქართული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი აზ-

როვნების შემდგომ განვითარებას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა ორიგინალური წერილობითი კულტურის სწორად და მიზანმიმართულად წარმართვას.

ელინისტურ-რომაული ეპოქების მიჯნაზე შეიქმნა გაერთიანებული (მესხეთისა და ეგრის-სვანეთის) სახელმწიფო – ქართლის (იბერიის) სამეფო (დაახლოებით ძვ. წ. აღ. 190-169 წწ.) და ფარნავაზ მეფემ განახორციელა უმნიშვნელოვანესი რეფორმები: ა) ადმინისტრაციული – სამხარეთ-ტერიტორიული დაყოფა საერისთავოებად და სასპასპეტო; ბ) ეკონომიკური (საფინანსო-საგადასახადო) – „ხარკი სამეფო და ხარკი საერისთავო“; გ) რელიგიური – უზუნაესი ღვთაების (არმაზის) კულტის დაწესება (სამივე აღნიშნულმა რეფორმამ, როგორც ადმინისტრაციულმა, ისე, განსაკუთრებით, ეკონომიკურმა და რელიგიურმა, თავის მხრივ, განაპირობა მომდევნო ორი რეფორმის განხორციელება); დ) ენის სტატუსის განსაზღვრა – ქართველური ენებიდან სახელმწიფო ენად **მესხურ-იბერიული** ქართული; ე) ქართული ანბანური დამწერლობის შემოღება – „შექმნა მნიშვნობრობა ქართული“, რამაც ხელი შეუწყო ქართული მწერლობის განვითარებას, რომელსაც, შესაბამისად, ორიგინალური წერილობითი კულტურის (წინააღმდეგარსი – იდეოგრაფიული დამწერლობის სახით) სულ ცოტა ათასწლოვანი ტრადიცია ედო საფუძვლად.

ამ ტრადიციის უწყვეტობაზე პირდაპირ მიანიშნებს ერთი განსაკუთრებული გარემოება. კერძოდ, ქართლის სამეფოს შექმნისა და მისი საზღვრების

**ქართულ წერილობით კულტურას, ჩვენი ისტორიული რეალიებიდან გამომდინარე, საფუძვლად უდევს და ძირითადად განსაზღვრავს ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის იდეა.**

აღწერისას ლეონტი მროველი გადმოგვცემს: „ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა“.

როგორც ჩანს, თანადროული ეპოქის საგარეო მდგომარეობამ განაპირობა, რომ ეგრისი („ქუეყანა ზღვს ყურისა“), რომელიც ადრე ისტორიული საქართველოს დასავლეთ ნაწილს მთლიანად მოიცავდა („და... საზღვარი – აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა ან ჰქვან ლიხი; დასავლით ზღუა; (ჩრდილოთ) მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წყურთი კავკასისა“), ფარნავაზის მიერ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროს ტერიტორიული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და მისი ჩრდილოეთი მხარე – აფხაზეთი, რომელიც მდებარეობდა „ეგრის წყალს ქუემოთ“ (მდ. ლალიძგიდან), ვიდრე საზღვრამდე – „მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წყურთი კავკასისა“ (მდ. ყუბანამდე), „დარჩა ბერძენთა“.

ჩვენი ქვეყნისათვის აფხაზეთის ტერიტორიის დაბრუნების და ამ პრობლემის მოგვარების საკითხი საუკუნეების განმავლობაში გადაუწყვეტელი რჩებოდა, რაც მუდმივი სამხედრო და დიპლომატიური დაპირისპირების საგანი გახდა. აღნიშნული მხარის შემოერთების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჯერ ვახტანგ გორგასალმა („მამა შინ მეფემან... იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა. ...და სამ წელ წარტყუნენა ყოველი ციხენი აფხაზეთისანი“), ხოლო შემდგომ ბაგრატ მესამემ.

ეს გადმოცემები და აქ მოცემული ინფორმაციები, კერძოდ, ისტორიული კოლხეთის (ეგრისის) ტერიტორიის დეტალური დოკუმენტური აღწერილობა, ადასტურებს, რომ რეალურად არსებობდა ადრეული პერიოდის წინააღმდეგარსი (იდეოგრაფიული) და ანბანური დამწერლობით შესრულებული წერილობითი ტრადიცია, როგორც ამას ანტიკური ხანის ის წერილობითი წყაროები გადმოგვცემენ, რომელსაც ასე საფუძვლიანად მიმოიხილავს როსტომ ჩხეიძე, და როგორც ამას, თავის დროზე, სამართლიანად ამტკიცებდა პავლე ინგოროყვა.

ქართულ წერილობით კულტურას, ჩვენი ისტორიული რეალიებიდან გამომდინარე, საფუძვლად უდევს და ძირითადად განსაზღვრავს ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის იდეა.



ლადო ჩიქვაშვილი

© ლადო – იერიშა!



## თუ ქართველი ხარ...

ბუკამ ჰამზანიძე

### „ღმერთო, თბილისს უმბავლე უმხიანი ძალეო“

ნინო ტატუნაშვილს

გოგოვ გოგოვ ლერწამტანა, რად მიკიდებ ცეცხლის ალუბს, რა ხიბლი გაქვს ამისთანა, რომ გაყოლებ მუდამ თვალებს.

გამიხინე იარა და თუმც არ მიყვარს გადაყოლა, შენთვის თვალი კი არა და, ნეტავ გულიც გამაყოლა.

### როგორ ბითხრა

თამარს

როგორ გითხრა, რა სიამით ამავეს, ნათლის სვეტად რომ მინთხარ ერთი, რა კარგია, რომ ხარ ამ ქვეყანაზე, გიყურე და დავიჯერე ღმერთი.

ფიფქებით ამეღვენენ ფიქრები, ქარი ჭორავს ღობესა და ყორეს,

### ძაბთული სოფელი უყვლოვ?

მოსათმენია ეს განა?

„წყალს მიაქვს“ მთელი ქვეყანა!

\* \* \*

ვინც მონებებით შესცქერით, კუდს უქციებთ უთქმელად, „წინ წყალი – უკან მეწვერი“ წყალმა წაგიღოთ სუფევლა! P.S.

ვინც თავის თავზე მიიღებს, პრემიებს აღარ მიიღებს?

### თავისუფლება

დიდებულება თავისუფლება, მაგრამ ყველაფრის არ გვაქვს უფლება, თუ გულდაღატო საკუთარ რწმენას, რჯულსა და ადათს, მამულს და ენას.

თუკი დავკარგეთ ღირსების გრძნობა, კაცურკაცობა, გატანა, მშობა, სულ უცხოეთით თუ ვართ გართული, თუ აღარ შეგვრჩა სული ქართული,

ვერც ვიდავითეთ, ვერც ვითამარეთ, ძველი დიდებაც დავასამარეთ, განა ეს არის თავისუფლება? არა, ამისი არ გვაქვს უფლება.

თავისუფლება ის არის განა, რომ გაიყიდა მთელი ქვეყანა?

რომ ავკაცების არის ზეობა, ჰყვავის სიბილწე და უხნეობა?

თუ „ბედნიერი ერი“ ვართ ისევე, ყველა სიკეთე თუ გავასხვისეთ, ყველა სიწმინდე თუ დალაქდება, ასე ქვეყანა არ დალაგდება.

და უკმირებოდ რომ არ გამოვა, განა ეს მხელი მისახვედრია? თავისუფლება თვითონ არ მოვა, თავისუფლება გმირთა ხვედრია!

### „მაბტამ, ძაბთველნო, საღ აბის ბმიბო“

ეს ქვეყანა დაიქცა, ერთმანეთის ჭამითა, ვერცა ვხვდებით მაინცა, ვინ ხეირობს ამითა.

\* \* \*

როცა ხელფასი მიდის ვალებში, როცა გაყრიან ნაცარს თვალებში, როცა სირცხვილმაც დაკარგა ფერი, ეს ცინიზმია, სხვა – არაფერი!

\* \* \*

არის კი სადმე ქვეყანა, პენსიონერს რომ შია? „არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია“.

რას წერენ, რას აზრობენ ჩვენზე



ჩრდილოეთ კავკასიას და აფხაზეთს შორის აპტომბისტრალის მშენებლობას უპოვნია მხარი დაუჭირა!

ვლადიმერ პუტინმა მხარი დაუჭირა მაგისტრალის მშენებლობას, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას ოკუპირებულ აფხაზეთთან დააკავშირებს. სტავროპოლში გამართულ რეგიონულ ფორუმზე რუსეთის პრეზიდენტმა პირმა განაცხადა, რომ ეს კარგი პროექტია, შესაბამისად, ფედერალური ხელისუფლება მის მხარდასაჭერად მზად არის.

რუსული მედიის ინფორმაციით, რუსეთში მოქმედი საზოგადოებრივი მოძრაობა „კავკასიის ერთა რუსული კონგრესის“ თავმჯდომარემ სულთან ტოგონიძემ ფორუმზე პუტინს პროექტის დეტალები გააცნო. მისივე ინფორმაციით, დაგეგმილია ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რომელიც ყაბარდო-ბალყარეთს, სტავროპოლის ოლქს, ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს ერთმანეთთან დააკავშირებს.

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია აეროპორტის მშენებლობაც, ხოლო ოკუპირებულ აფხაზეთთან დამაკავშირებელ გზას სოხუმამდე გაიყვანენ. როგორც ტოგონიძემ აღნიშნა, ჩინეთიდან პარტნიორები ჩამოვიდნენ და ამ პროექტის განხორციელებაზე მემორანდუმს ხელი მოეწერა.

პროექტის თანახმად, ჩქაროსნულ ავტომობილსტრალს ჩინური კორპორაცია „China Railway“ და რუსული კომპანია „რეგიონული პროექტები“ ააშენებენ. გარდა ამისა, უახლოესი ერთი წლის განმავლობაში მხარეები გეგმავენ კონტრაქტის გაფორმებას ოჩამჩირეში საზღვაო პორტის მშენებლობის შესახებ.

რუსულ-ჩინურ შეთანხმებასთან დაკავშირებით ოფიციალური თბილისი ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს. for.ge შეეცადა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მიეღო ოფიციალური განმარტება, რა ქმედითი ნაბიჯები გადადგა საგარეო უწყებამ ჩინურ მხარესთან, თუმცა, ჩვენი ორდღიანი მცდელობის მიუხედავად, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. უწყების პრეს-სამსახურში სატელეფონო ზარს არ უპასუხეს.

პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ჩინურ მხარესთან სამუშაო რეჟიმში გასარკვევია, მართლაც არსებობს თუ არა ასეთი შეთანხმება.

„ნებისმიერი პროექტი და, მით უმეტეს, ასეთი მასშტაბის, შეთანხმებული არ არის საქართველოს ხელისუფლებასთან. ეს არის საერთაშორისო ნორმების უხეში ხელყოფა. სწორედ ასე უნდა მივუდგეთ ამ საკითხს და ასეთი მიმართულებით უნდა გაგაქტიურდეთ მუშაობა ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან. მაქსიმალურად გავაპროტესტოთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის და პრინციპების მორიგი დარღვევა. სამწუხაროდ, სხვა ბერკეტი ჩვენ არ გავაჩნია, რომ ასეთი პროექტის განხორციელება შევაჩეროთ, თუკი დაინწყება“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ზურაბ აბაშიძე.

ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის განმარტებით, მსგავსი პროექტების განხორციელება შესაძლებელია გაკეთდეს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით. მისი თქმით, ყველა სხვა არჩევანი იმ აგრესიული პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელიც რუსეთმა 2008 წელს დაიწყო.

ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში გია ხუხაშვილი ფიქრობს, რომ ჩინური კორპორაციის მიერ ჩქაროსნული ავტომობილსტრალის მშენებლობა ხელს შეუშლის ქართულ-ჩინური ურთიერთობის განვითარებას, რაც აისახება ჩვენს ურთიერთობებზე.

დედაშვილის ზურგზე

ავსტრალიაში დაქარაღი რუსი ქილარის ექსპრადიკაბა შეიქცაბა გულბარათში მოსკოვს, მიუხედავად განაცხადისა რუსეთის ფედერაციიდან

56 მკვლელობაში ბრალდებული „რუსეთის მთავარი ქილარი“ ზედმეტსახელად „ჯაგო“, რომლის ექსტრადიციაც დაფინანსებით მოითხოვს რუსეთის მხარე, შეიძლება გამგზავნოს ბულგარეთში, სადაც მას ბრალს სდებენ ოფიციალური დოკუმენტების გაფალბებაში. რუსეთში კრიმინალურ ავტორიტეტს მუდმივი პატიმრობა ემუქრება.

იაპონიის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ საჭრის შიშისა და ანალოგიური გაანადგურებელი კორპის სანაღრო-დემოკრატიული რუსუბლიკის ბალიტიკური რაქცია

ტოკიო რაქცის ხელში ჩასაგდებად იყენებს საესკადრო ნაღროსანს, რომელიც აღჭურვილია თვალყურის სადევნებელი მრავალმიზნობრივი სისტემით. წინა დღით, წყაროების მონაცემებით, იაპონიის თვითდაცვის სარაქცეო ნაღროსანი გავიდა ზღვაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზიდან, რათა თვალყური ადევნოს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სავარაუდო სარაქცეო გამოცდას.

დაახლოებით 4 ათასმა ლტოლვილმა ფინეთში თავსახურის მიხედვით შესახებ განაცხადა უკან დაიქცა

ყველა ამ ადამიანმა გაიწვია განაცხადი, იყვია ბილეთი თვითმფრინავზე და გაემგზავრა. ზოგიერთ ადამიანზე ნარკოტიკების ნარკოტიკების სახელმწიფოს ანგარიშზე, განაცხადებს ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროში. ადრე იტყობინებოდნენ, რომ ფინეთის ხელისუფლებამ შეიძლება უარი უთხრას თავშესაფრის მიცემაზე დაახლოებით 20 ათას კაცს, რის შემდეგაც ისინი გაიგზავნებიან სამშობლოში.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ დაუშვა, რომ ჩრდილოეთ კორეაში ვართლახ გამოცხადდა წყალბადის ბომბი



ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, მონაცემების ანალიზის უკანასკნელ შედეგებზე მითითებით, განუცხადა „სი-ენ-ენის“ ტელეარხს, რომ საკითხი შეიძლება შეეხებოდეს კერძო, ზოგიერთი კომპონენტის წარუმატებელ გამოცდას, რაც დაკავშირებულია წყალბადის ბომბთან.

ოკეანე მოუწოდა, ხელი შეუხადოს ისლანდია სანაღროს, გააქციოს გავლენა ლიბიაზე, გაგრძელოს განაცხადი რუსეთის მიმართ, რაც დაკავშირებულია სანაღროს მიმართული უარყოფითი პოლიტიკის შესახებ

ოკეანე „მისცა დავალება თავის გუნდს ეროვნული უშიშროების საკითხში, კვლავ გააძლიეროს ძალისხმევა ხელისუფლების ორგანოების განმტკიცებისათვის და ლიბიასა და სხვა იმ სახელმწიფოებში კონტრტერორისტული მოქმედებების მხარდასაჭერად, სადაც ისლამური სახელმწიფო ისწრაფვის უზრუნველყოს თავისი ყოფნა“, – იტყობინებიან თეთრ სახლში.



ისლანდია სანაღროს შეეძახა მიხანი შეიქცაბა იყოს საქრეიშო ლიბიაში ხელთაშუა ზღვაში, მიხანი ნაღროს

არსებობს მომავალში „სამხინელი შესაძლებლობა“, რომ ტერორისტების შემთხვევითი მიხანი განდეს საკრუიზო ლაინერი, ნავთობის პლატფორმა ან კონტინერზე და, აღნიშნა ბრიტანეთის ფლოტის ვიცე-ადმირალმა კლაივ ჯონსტონმა, როდესაც საუბრობდა ბოვეიკების გეგმებზე ჯინაბის გავრცელების შესახებ ხმელთაშუა ზღვაში.

გორიანი იარაღიკო ამერიკის ხიხუი შეიქცაბა მოინახულს, ის გამოჯანმრთელებასთან მიღეს

28 იანვარს რუსეთის გენერალური საკონსულოს დომოლატიმა ნიუ-იორკში კონსულტინ იაროშენკო მოინახულა ციხეში. თანამემამულის სიტყვებით, ის უკეთესადაა და გამოჯანმრთელებისკენ მიდის. მედიკოსების მიერ განხორციელებულმა გამოკვლევამ დაადასტურა იაროშენკოს სიტყვები, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში 20 წლის პატიმრობას იხდის.

განცხადება

ამსიათა სავალდებულო მიუიღვის თაოზაზა

საბარტოვილოს მენარმეთა შესახებ კანონის 53<sup>ა</sup> მუხლის შესაბამისად, განცხადება კეთდება სს „ირაო 777“-ის აქციითა სავალდებულო მიუიღვის თაოზაზე რომლის საფუძველიცაა შემოთავაზებული ფიზიკური პირი ლევან ნაკაიძის მიერ სს „ირაო 777“-ის 5112 ცალი აქციის შეძენა.

გამოსყიდვის პირობები:

შემთავაზებული ფლობს სს „ირაო 777“-ის მიერ გამოშვებულ 392931 (სამასოთხმოდეთორმეტიათასცხრასოცდათერთმეტი) ცალ ჩვეულებრივ სახელობით აქციას, რაც შეადგენს საწესდებო კაპიტალის 98.716%-ს და სურს, გამოისყიდოს სს „ირაო 777“-ის დარჩენილი 5112 (ხუთათას ასთორმეტი) ცალ ჩვეულებრივი სახელობითი აქცია, რომელიც სს „ირაო 777“-ის საწესდებო კაპიტალის 1,284%-ს შეადგენს; სს „ირაო 777“-ის აქციების გამოსასყიდო ფასი შეადგენს 21 (ოცდაერთ) ლარს ერთ ცალ აქციაზე. ეს განცხადება ძალაშია მისი რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში.

აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ: სს „ირაო 777“-ს, საკონტაქტო მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ.№8, საკონტაქტო ტელ: 218 91 76.

შემთავაზებული ლეზან ნაბაიძე

ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ

არსებული 220 კვ. ეგზ. „ხორგას“ გაორჯაჭვიანების პროექტი

სს „საბარტოვილოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იწყებს გარემოზე შემოქმედების შეფასების დოკუმენტის (გზშ-ს) საჯარო განხილვას.

პროექტის გარემოზე შემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2016 წლის 24 მარტს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში 14 საათზე. მისამართზე: ქალაქი სენაკი, ჭავჭავაძის ქ. 103.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს არსებულ 220 კვ. ეგზ. „ხორგას“ გაორჯაჭვიანება. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 220 კვ. ეგზ-ების: „ხორგას“, „კოლხიდა 2“-ის, „პალიასტომი 1“-ის და „კოლხიდა 1“-ის იმ ელემენტების რეკონსტრუქცია, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ელექტროგადამცემი საზღვის მიერთებას მენჯის ქვესადგურთან.

განსახილველი გზშ-ს ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეთათვის ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

● სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ – მისამართი: ქ.თბილისი, ბარათაშვილის №2, III სართული, ოთახი №304 (ამობეჭდილი ვერსია), ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებ-გვერდზე [www.gse.com.ge](http://www.gse.com.ge).

● სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა – მისამართი: ქალაქი სენაკი, ჭავჭავაძის ქ. 103.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების არაუგვიანეს 18 მარტისა. ნეროლობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მოგვანოდოთ შემდეგ მისამართზე: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, III სართული, ოთახი №304, ტელ. 2 510 264, საკონტაქტო პირი: ზეზვა ხვედელიძე, ელ. ფოსტა: [zezva.khvedelidze@gse.com.ge](mailto:zezva.khvedelidze@gse.com.ge)



ლიცენზიატი

**შპს-მზნ ზაფხულს სლოვენური მარიბორში ტყევის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ნახევარფინალში გავიდა, იქ კი ბრინჯაოსთვის პაექრობა უკრაინელ ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონ ალიონა კოსტევიჩთან წააგო და მე-4 ადგილს დასჯერდა. ჩემპიონობა უნგრელმა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანმა სოფია ჩონკამ მოიპოვა, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მსოფლიოს და ევროპის მრავალჯობის პრიზიორი ვიქტორია ჩაიკა (ბელარუსი) დაამარცხა. რადგანაც კოსტევიჩსა და ჩაიკას რიოს ლიცენზიები უკვე ჰქონდათ, 2016 წლის ოლიმპიური თამაშების საღურებო სალუქვაძესა და მადიარს ერგათ. ნინოსთვის ეს უკვე მეორე ოლიმპიიდა იქნება, რითაც ჩვენდღური რეკორდსმენია არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც – პისტოლეტიდან სროლაში ამდენი ლიცენზია მსოფლიო სერია ოლიმპიურ ჩემპიონ იასნა სეკარინს აქვს მოპოვებული (თუმცა მან ერთ ოლიმპიიდაზე „ველური ბარათით“ იასპარეზა). 28 წელიწადია, ამ ორ სახელოვან ჩემპიონს შორის მეტოქეობა და მეგობრობა გრძელდება. სეულში სერბი სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ბრინჯაოს მედალი დაკარგა, ქართველი სპორტსმენი კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. კორეაში იასნაც გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. მან პნევემატური პისტოლეტიდან სროლაში მოიპოვა ოქროს მედალი – მცირედით გაუსწრო სალუქვაძეს, რომელსაც ვერცხლი ხვდა. არადა, ნინომ ძირითადი სერიებისას 390 ქულით მსოფლიო რეკორდი დაამყარა, მაგრამ ფინალში იასნამ აჯობა.**

– ოლიმპიური ჩემპიონი რომ გავხდით, იასნა სეკარინი ჩემთან არ მოსულა და არ მოულოცავს, არადა, სხვა შეჯიბრებებზე პირველი მილოცავდა ხოლმე. მეც ამას ვაკეთებდი. მერე მომიბოძოდა – გავითიშე და უნდა მაპატიო, მითხრა, – ამბობს ნინო სალუქვაძე. – დღემდე ვეგოგობობთ ოჯახებით.

**შარშან სარეკორდო ლიცენზიაზე როგორი რეაქცია გქონდა?**

– ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ნებისმიერი სპორტსმენისთვის დიდი ბედნიერებაა, მედლები არ მაკლია, მაგრამ ახალბედსავეთ გახარებული ვარ.

**ნინო სალუქვაძეს ტიტულები მართლაც არ აკლია: 1969 წლის პირველ თებერვალს დაბადებული ჩუბინი ერთადერთი ქართველი სპორტსმენია, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში მერვედ იასპარეზებს და სამივე სინჯის მედალი აქვს მოპოვებული: 1988 წელს სეულში – „ოქრო“ და „ვერცხლი“, 2008 წელს პეკინში – „ბრინჯაო“. ოჯახური სპორტული კოლექცია სხვა ჯილდოებითაც მრავლად დაამზენა. კერძოდ, მსოფლიოს ჩემპიონატებზეც ასევე თითოჯერ დაიკავა პირველი (1989 წ.), მეორე (2002 წ.) და მესამე (1986 წ.) ადგილები, გუნდურ ჩათვლაში კი ექვსჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ევროპის სუთგზის ჩემპიონი, ორ-ორჯობის მეორე და მესამე პრიზიორი სუპერთასის რვაგზის მფლობელია, ოცამდე მსოფლიოს რეკორდი აქვს დამყარებული, სპორტულმა ყურნალისტებმა ორჯერ (1988, 1999 წ.წ.) წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელეს. სპორტის დამახორებული ოსტატი დაჯილდოებულია სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით.**

**ბრინჯაო სრული კომპლექტისთვის**

**რვა წლის წინათ სეულის გიმრმა თავის მეექვსე ოლიმპიიდაზე მრავალრიცხოვან სპორტულ კოლექციას ბრინჯაოს მედალი შემატა. ნინოს მრავალჯობის აღწინასწავს, რომ ჩინეთი მისთვის იბლბინი ქვეყანაა. სწორედ შანაისა და გუანჯაოს მსოფლიო თასების გათამაშებებზე დაიმსახურა მან ათენისა და პეკინის ოლიმპიადების საგზურები.**

– ზაფხულის თამაშებისთვის ინტენსიური მზადება 2007 წლის შემოდგომით დაიწყო და ორი საფუძველიანი შეკრება გერმანიაში გავიარეთ. შემდეგ შევიცარინის ქალაქ ვინტერტურში გავემზავრე ევროპის ჩემპიონატზე. ბელარუსი ვიქტორია ჩაიკა პნევემატური პისტოლეტიდან სროლის ფინალში 390 ქულით შევიდა. მას ორი ქულით ჩამოვრჩი. რუსი ნატალია პადერინა 386 ქულით მესამე იყო. გადამწყვეტი ორთაბრძოლების შემდეგ სამივემ პოზიციები შევიწარმეთ.

იენისის მინურულს ბელგრადში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ღია ჩემპიონატში პნევემატური პისტოლეტიდან სროლაში სერბ ოლიმპიურ ჩემპიონ იასნა სეკარინს 0.1 ქულით ვაჯობე და პირველი ადგილი დავიკავე. მესამე ადგილზე ბულგარელი ოლიმპიური ჩემპიონი მარია გროზოვა გავიდა.

**ამგვარი მომზადების შემდეგ პეკინში კვარცხლბეკზე აუსვლელობა, ალბათ, ცოდეც იქნებოდა.**

– გეთანხმებით, მაგრამ ჩემი მეტოქეები გულმოდგინედ მოემზადებოდნენ. თანაც, ოლიმპიური თამაშები ემოციური და ტვირთიანი ვარაუდები არაა. ჩემთვის ეს უკვე მესამე ოლიმპიადის მზადებაა. ჩემთვის ეს უკვე მესამე ოლიმპიადის მზადებაა. ჩემთვის ეს უკვე მესამე ოლიმპიადის მზადებაა.

# ნინო პერველ ნაპა რიოს, როგ მსოფლიო ბაღარიოს...

მამები ემოციური დატვირთვით სხვა შეჯიბრებებისგან განსხვავდება – აქ ფსიქოლოგიურ მომენტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სამწუხაროდ, ჩვენ, ამ მხრივ, ოლიმპიური თამაშების გახსნის პირველი დღიდანვე შეგვექმნა საშიშერი ფონი – რუსეთის აგრესიამ შოკში ჩაგვავდა.

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: 10 აგვისტოს შეჯიბრებაზე უნდა გავსულიყავი. ამ დროს ოჯახის წევრებზე თითქმის არავითარი ინფორმაცია არ მქონდა: ჩემი მეუღლე გოჩა მაჭავარიანი, ყოფილი მორაგბეა, აფხაზეთში იბრძოდა. 2008 წელს ქართულ ჯარში მასხურობდა და ვიცოდი, ცხინვალში იდგებოდა ნინა ხაზზე; შვილებიც თბილისში არ იყვნენ და შინ ვერ ბრუნდებოდნენ. ამას ემატებოდა ჩინეთის აუტანელი კლიმატური პირობები. 10 აგვისტოს დილაადრიან შეჯიბრებაზე რომ მივიდობოდი, მამამ მითხრა – ყველა პრობლემა დაივიწყე და ის გააკეთე, რაც ცეცხლის ხაზზე მდგომს გვეულება, ამით სამშობლოს უფრო მეტს არგებ, ვიდრე ნევირეულობით.

მართლაც, მიუღია ყურადღება პნევემატური იარაღიდან თითოეულ გასროლაზე გადავიტანე და საბოლოო შედეგზე არც მიფიქრია. 386 ქულა მოვაგროვე, ფინალში 10 გასროლის შემდეგ მონაგარს 101.4 ქულა შევიძინე და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე. პირველ-მეორე ადგილებზე, შესაბამისად, ჩინელი ვეფუენ გუო და რუსი ნატალია პადერინა გავიდნენ. დასაჯილდოებლად რომ გამოვიძახეს, გულშემატკივრები ოვაციებით შემხვდნენ, პადერინას კი მხოლოდ რუსმა ქომავლებმა დაუკრეს ტაშო. ეს ფაქტიც ნათელი დასტურია საქართველოსადმი მთელი მსოფლიოს თანაგრძობისა. კვარცხლბეკზე რომ ავედით, ნატალიას გადავხვებო და ვუთხარი, ჩვენი მეგობრობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე ყველა ომი-მეთქი. მერე სურათიც გადავიღე მასთან.

**– შეკინის შემდეგ ბანგკოკში სუპერთასზე მეოთხე იყავი. უკეთესი გამოსვლის შანსი თუ გქონდა?**

– იშვიათად, რომ წარუმატებლობა მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორებს დავაბრუნო, მაგრამ უთქმელობაც არ ივარგებს: სამ ათეულ წელიწადზე მეტია, ცეცხლის ხაზზე ვდგავარ და, რაც პეკინში მომივიდა, მსგავსი რამ არასდროს შემთხვევია – სპორტულ პისტოლეტზე სამიზნის დამამაგრებელმა ლერძმა ნახევრად გარეთ გამოინია, რამაც იარაღს სიზუსტე დაუკარგა. ამიტომ პირველ სერიის 50-დან მხოლოდ 46 ქულად მოვაგ-

როვე, მერე კი ეს დანაკლისი ვერ ავიწარმოე და ფინალს მიღმა აღმოვჩნდი.

ბანგკოკში პნევემატურმა პისტოლეტმა მიმტყუნა. ვარჯიშისას შევნიშნე, რომ გასროლის ხმა სუსტად ისმოდა. მივხვდი, რომ ტყევის სიჩქარე დაბალი იყო.

თბილისში დაბრუნებისთანავე ტირის მივაშურე და პნევემატური პისტოლეტი შევამოწმე. აღმოჩნდა, რომ მამში 160 მეტრის ნაცვლად ტყევა 115 მეტრს ფარავდა. სიჩქარის დაცემა ტყევის გაფანტვის დიამეტრს საგრძობლად ზრდის, ამიტომაც ვახვედრებდი ახლოებელ ცხრიანებში. ახლა იმასაც ვეჭვობ, ჩემს პნევემატურ პისტოლეტს ოლიმპიურ თამაშებზეც სომარ ჰქონდა მსგავსი ხარვეზი, არადა, იტალიაში მსოფლიოს თასზე ასპარეზობისას სპეციალისტებს პისტოლეტი შევამოწმებინე და ყველაფერი წესრიგში იყო.

**თოფსა და ტყვიას ნუ გააპარებთო**

ბავშვები ეზოში თამაშობდნენ.

ზე მეტია, მეუღლესა და ქალიშვილს ქომავლობს, მათი წარმატებით ხარობს. მამა-შვილს კი საამაყოს, აბა, რა გამოუღვევს: ვახტანგ სალუქვაძე ხომ ტყევის სროლაში საბჭოთა კავშირის 1967 წლის ჩემპიონია პირად ჩათვლაში, გუნდურ შეჯიბრებებზე კი ხუთჯერ აქვს მოპოვებული ოქროს მედალი. ხალხთა მე-4 სპარტაკიადაზე კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიპყრო, გუნდურში კი ორჯერ მესამე ადგილი დაიკავა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სამ ათეულ წელზე მეტია, ქალიშვილს ავარჯიშებს.

**– ძნელია სპორტსმენის მეუღლეობა და დედობა?**

– ვკითხე ქალბატონ ნუნუს, რომლის ხელშეწყობა და თანადგომაც ყოველთვის ჰქონდა მამა-შვილს. – აბა, რა გითხრათ. თავიდან ამაზე არც მიფიქრია. 1968 წელს რომ დავქორწინდით, ჩემი მეუღლე უკვე წარმატებული სპორტსმენი იყო, ხშირად დადიოდა შეჯიბრებებსა და სანკრთნელ შეკრებებზე. მეც თან

დავავადი – ახალგაზრდა ვიყავი და მისაზროდა. ნინოს შექმნის შემდეგ დე-დე-შვილი უფრო შინ ველოდებოდი ვახტანგს, რომელსაც მანამდე ბევრი ნერვიულობა გადაუტანია, განსაკუთრებით – 1960 წელს, როცა მის ნაცვლად რომის ოლიმპიადაზე მაშპედ-

დავავადი – ახალგაზრდა ვიყავი და მისაზროდა. ნინოს შექმნის შემდეგ დე-დე-შვილი უფრო შინ ველოდებოდი ვახტანგს, რომელსაც მანამდე ბევრი ნერვიულობა გადაუტანია, განსაკუთრებით – 1960 წელს, როცა მის ნაცვლად რომის ოლიმპიადაზე მაშპედ-



მაშობდით და ნინომ წამალთან ერთად „პატრონაჟ“ გადაყლაპა, – ლუკუნით უთხრა ერთმა გოგონამ, რომელსაც მხარზე წითელჯვრისანი ჩანთა გადაეკიდა. ალბათ, გრძნობდა, როგორც „ეკიპო“, ამ შემთხვევის გამო უფროსებისგან დასჯა რომ არ ასცდებოდა.

**– წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდი, – მითხრა ქალბატონმა ნუნუმ, ნინო სალუქვაძის დედა. – გუმისთაში ვახტანგს სანკრთნელი შეურება ჰქონდა და თან ნაგვიყვანა. ორსართულიან სახლში დავიქირავეთ ბინა. უხიფათო ადგილი იყო. წარმოდგენაც არ მაქვს, პილზა იქ საიდან განიდა. შემინებულმა მეუღლის მოსაყვანად ტირის კაცი გავგზავნე. იმავე დღეს თბილისში დავბრუნდით და მამინე საავადმყოფოს მივაშურეთ. დიდხანს სინჯავდნენ ექიმები ნინოს, რენტგენითაც ვააშუქეს, მაგრამ ორგანიზმი ვერაფერი უპოვეს. თავდაცვებით ამოისუნთქეს და ჩვენც დაგვამშვიდეს – თქვენს შვილს არავად ვუთქვამთ, ოღონდ სამომავლოდ თოფსა და ტყევის ნუ გააკარებთო.**

ნინო მამის ექვსი წლის იყო. კიდევ კარგი, რომ მშობლებმა რჩევი ბოლომდე ყურად არ იღეს, თორემ რა ჩემპიონს დავკარგავდით?! ქალბატონი ნუნუ სპორტისგან შორს დგას – სასკოლო შეჯიბრებებშიც არასდროს მიუღია მონაწილეობა, თუმცა, ოთხ ათეულ წელიწად-

მეოთხე იყო. კომპიუტერში მოსწავლეთა საკავშირო ტურნირზე 582 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატობაც შეასრულა. ბოლო სერიებში 150 შესაძლებელიდან 150 ქულა მოაგროვა, რაც საოცარი შედეგი იყო. ნინომ განსაკუთრებით ტაშეენტში 1984 წლის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე იყოჩაღა – ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა.

– იმავე წელს ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე გავგზავნეს, – ქალბატონმა ნუნუმ სიტყვა ჩამოართვა მეუღლეს. – მასობის, 300 მანეთი გადაუხურდავს. ბავშვი შიმშილით არ მომიკვდეს-მეთქი, ვნერვიულობდი. შეჯიბრებიდან დაბრუნებულმა მოდური მოსასხამი ჩამომიტანა. უსაჩუქროდ ახლობლებიც არ დაუტოვებია. შენთვის რა იყიდე-მეთქი, რომ ვკითხე, ფული არ მეყო, გავლიდა. მაშინლა მივხვდი, რომ ჩემი ნინოკო თვალსა და ხელს შუა გამზრდია, მე კი ისევე პატარა გოგო გამეგონა. თუმცა, არც ბავშვობისას ყოფილა უყურადღებო – დაბადების დღეებსა და 8 მარტს ყვავილების თაიგულით მილოცავდა. დღემდე ასეთად დარჩა.

**– ნინოს ოლიმპიური ჩემპიონობა როგორ აღნიშნეთ?**

– სეულის ოლიმპიადის წინ ძმა გარდაამცვალა. ყველაფრისადმი ინტერესი დავკარგე. ყოველდღე სასადგო-ლაოზე დავდიოდი. იმ დღესაც, შინ რომ მოვბრუნდი, ეზოში უამრავი ხალხი დამხვდა. ტანში გამცრა – კიდევ რამე ახალი უბედურება ხომ არ შემემთხვა-მეთქი. მეზობლებმა ნინოს ჩემპიონობა რომ მომილოცეს, შებნით ამოვისუნთქე და ძმის გარდაცვალების შემდეგ პირველად გამეღიმა.

პეკინის ოლიმპიადაზე ასპარეზობას ტელევიკრანზე ვადვენებდი თვალს. ბოლომდე ვერ გავუძელი – ორი გასროლა ჰქონდა დარჩენილი, ტელევიზორი რომ გამეორთე. ცოტა ხანში სახეგაბადრული მეზობელი შემოვარდა ოთახში – ბრინჯაოს მედალს გელოცავო და ტელევიზორი ჩართო. ეკრანზე აცრემლებული ნინო რომ დავინახე, თავი ვერ შევიკავე და მეც ავკვითინდი.

**– რუს პადერინასთან სურათის გადაღება სხვადასხვაგვარად აღიქვს. თქვენ რას იტყვით?**

– პოლიტიკისა და სპორტის გაიგივება არ შეიძლება. მართალია, რუსეთის მთავრობამ 2008 წლის აგვისტოში ძალიან ცუდი საქმე გავიკეთა – ქალაქები და სოფლები დაგვიბომბა, ტერიტორიები წაგვართვა, უდანაშაულო ხალხი დაიღუპა, მაგრამ პადერინა რა შუაშია? მიმანია, რომ ჩემი შვილი სწორად მოიქცა – ნინო და ნატალია დიდი ხანია, მეგობრობენ და სხვაგვარი საქციელი გაუშარბლებელიც იქნებოდა.

**– ბატონო ვახტანგ, თქვენ თავად ახლდით ქალიშვილს „ცხელ ნერტილებში“. ნინოს რა თვისებებს გამოარჩევდით?**

– შემართებას, უნის და ხასიათის სიმტკიცეს. ასე იყო სეულშიც, პეკინსა თუ სხვა ქალაქებშიც. ზოგჯერ გი-მართლებს, ზოგჯერ – არა. ჩინეთის დედაქალაქში ნინო იარაღმა დააღალატა, თუმცა, ოლიმპიურ მედალს მაინც უწესნდა, რამაც ძალიან გამახარა. ცოცხად იყო, ამდენი შრომა წყალში ჩაყროდა.

ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო: 1999 წელს მსოფლიოს სუპერთასი მიუნხენში გათამაშდა. ნინო ფინალში მეოთხე შედეგით (384 ქულა) შევიდა. ჩინელი ტაო ლუნა, რომელიც სიდნეიში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, და რუსი სევეტანა სმირნოვა მას სამსამი ქულით უსწრებდნენ, ჩინელ რენეს 386 ქულა ჰქონდა. ნინომ გადამწყვეტი პაექრობისას 103,5 ქულა მოაგროვა და საბოლოოდ ლუნას 0,2 ქულით აჯობა. სწორედ ხასიათის სიმტკიცით შეძლო ეს.

**– რიოს ოლიმპიადაზე რას იტყვით?**

– ნინოს შემთხვევა არ აკლია, დანარჩენი კი ვნახობ... ნინო სალუქვაძე ამჟამად მიუნხენში იმყოფება და 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებისთვის ემზადება. თან ახლავს ვაჟი ცოტნე მაჭავარიანი, რომელმაც უკვე მოასწრო შეჯიბრებებზე თავის გამოჩენა და არ არის გამორიცხული, თებერვალში ევროპის ჩემპიონატზე რიოს საგზურსაც შესწვდეს.

**პირველ თებერვალს ოლიმპიური ჩემპიონის დაბადების დღეა. გილოცავთ, ქალბატონო ნინო!**

ვაშა დანელია

სულიერება

წმინდა კათილმსახური მეფე — თამარი



წმინდა თამარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მეფე თამარის ხსენებას. სულ რამდენიმე წელია, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოსის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჩვენს ქვეყანაში თამარობა აღინიშნება...

ცნობილია, რომ 1166 წელს მეფე გიორგი III-ეს და მის ბედნიერ მუულებს ბურდუხანს ქალიშვილი — თამარი შეეძინათ. გიორგი მეფემ თავისავე სიცოცხლეშივე 12 წლის თამარი მეფედ გამოაცხადა.

...ხელისუფლების სათავეში მოსვლა თამარმა საღმრთო საქმით დაიწყო. თამარ მეფემ 18 წლის ასაკში მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც შეკრებილი მღვდელმთავრებს და მამათა სიმრავლეს მან მდაბლად მიმართა: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განსაღმრთო გულარძნილი. იწვეთ ჩემზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთის მბრძოლობისა.“

...ისტორიამ შემოგვინახა ამაღლებული ბევრი ამაგი წმინდა მეფის ცხოვრებიდან. ახლა, მხოლოდ მისი სიკვდილსიცოცხლის ზღვარზე მყოფის მიმართვას შეგახსენებთ: „ძმანო ჩემო და შვილნო... აჰა, ესერა მკვიდრად სახლისა ჩემისა და გიტყვებთ, რომელნი მომცნა ღმერთმან შვილნი ჩემნი, გიორგი და რუსუდანი, ეგენი მიიხუნით ჩემ წილ და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი“. შემდეგ მაცხოვრის ხატს და ცხოველმყოფელ ჯვარს შეავადრა მეფეთ მეფემ საქართველო...

და, მაინც დღემდე საიდუმლოებით არის მოცული თამარ მეფის საფლავის ადგილსამყოფელი. ერთ ლეგენდებით იკმაყოფილებს თავისი უდიდესი მონარქის მონატრებას და ამით გამოხატავს ოცნებით(?) კავშირს წმინდა გვირგვინოსან მეფესთან და იმდროინდელ საქართველოსთან.

გიული ლიპარტი

სსოვნა

ნინო ლაკია

„მიდისარ. ტკბილი გომოდან მგზავრობა“...



ქალბატონი ნინო ლაკია იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთაც ხალხის სიყვარული მიაცილებდა ცხოვრების გზაზე. მისი დაუღალავი შრომა, მოყვასისადმი თავდადება, ორგანიზატორული ნიჭი, ფოთელთა დიდ პატივისცემასა და მადლიერებას იმსახურებდა. მან თავისი ეპოქის ცხოვრებით იცხოვრა, იყო ეს კომპაგნიური, პარტია თუ ქალაქის ხელმძღვანელის პოსტი, ყველგან ლიდერის თვისებით გამოირჩეოდა. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითი იყო იმისა, რომ კარგი საქმის კეთება ყველა დროში შეიძლება, განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა პირველ მდივნად მუშაობის პერიოდში. იგი მოწინავე საზოგადოების მხარდაჭერით ფოთის მომავალს ქმნიდა — ქალაქისა და ნავსადგურის ინტეგრაციის გზით, რაც, სამწუხაროდ, ბოლო დროს დაირღვა.

რომელთანაც ურთიერთობა ახალ რელიებს სახავდა, მაგრამ მისი ცხოვრება მაინც ფოთთან იყო დაკავშირებული, მის განვითარებასთან, მიუხედავად კომუნისტური ეპოქის შეზღუდულობისა, მან შექმნა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მოღვაწე ქალის სახე. ის იყო დიდი მეგობარი ქალაქის სიყვარულში, იყო ფაზის-ქალაქის სინდის-ნამუსი, განმსაზღვრელი და ტონის მიმცემი, საზოგადოებას განაწყო და სიკეთის კეთებისკენ, საერთო საქმის წარმატებისკენ.

როგორც ხის სიმაღლე იზომება ფესვიდან, ადამიანის ნაღვანიც წარსულიდან დაწყებული იზომება და ეს ნაღვანიც საკმაოდ დიდ პარამეტრებს მოიცავს და უკვდავყოფს თვით პიროვნებას.

ნინო ლაკიამ წარმატებით იმუშავა ქვეყნის ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მათ შორის პროფკავშირული ორგანიზაციის ლიდერადაც და ხალხისათვის სასიკეთო რეფორმებიც განახორციელა. იგი ყოველთვის იყო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრში და ყოველთვის თავის ღირსეულ სიტყვას ამბობდა.

ფოთელები მუხლს იყრიან ფოთისთვის მუხლჩაუხრელად მებრძოლი ქალბატონის წინაშე და სიყვარულით აცილებენ სამუდამო გზაზე — დიდი გალაკტიონის სიტყვებით: „მიდისარ ტკბილი გქონდეს მგზავრობა“...

დ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიზა და საპრეზულო

ვასილ გვეტაძის სსოვნა

გეგმვა გეგმვა გეგმვა

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მტკიცებულები დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მხატვარი და ლექსმწერი ვასილ ნოსეძე და საზოგადო მოღვაწე ვასილ ნოსეძე.

არსთაგამრიგებ წელთა სიმრავლე უბოძა ამ სანთელივით სუფთა და პატიოსან პოეტს და მანაც თავისი სიცოცხლე, თავისი საინტერესო შემოქმედება მთლიანად მის სათაყვანებელ სამშობლოს უძღვნა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მრავალი წლის განმავლობაში ვასილ გვეტაძე მუდამ მშობელი ქვეყნის საკურთხეველთან იდგა და მაცხოვრის მამულის გადაარჩენას შესახებოდა...

ვასილ გვეტაძე დაიბადა 1920 წლის 6 აპრილს ქალაქ ქუთაისში, ქუთაისის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი იარაღით ხელში ებრძოდა ფაშისტ დამპყრობლებს და მკერდით იცავდა სამშობლოს. ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ ვასილ გვეტაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა გამოცემლობა „ნაკადულში“, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში („საქართველოს ბუნება“, „დროშა“, „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, „მუშა მუხასა“, „ვეტერანი“...) და ყველგან თავისი სისპეტაკით და სიყვარულის ნიჭით გამოირჩეოდა.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის 80 წელი გრძელდებოდა ვასილ გვეტაძის ლიტერატურული ცხოვრება. იგი იმ მწერალთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელთა სულიერი ფორმირება, მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბება მეორე მსოფლიო ომის მრისხანე და სისხლიანმა წლებმა განაპირობა. სად არ იბრძოლა, უკრაინასა თუ ბელორუსიას, ლიტვასა თუ ალმოსავლეთ პრუსიაში, მოსკოვის მისაღყო-

მებთან. სადაც არ უნდა ებრძოლა, იგი ყველგან საქართველოს, მშობელ მიწას იცავდა, მისი მეციხოვნე იყო, მისი სისხლი და ხორცი.

ვასილ გვეტაძის პირველი ლექსი „შენი გენია გამარჯვებული“, დიდ ილია მართალს რომ ეძღვნებოდა, ქუთაისის საქალაქო გაზეთში გამოქვეყნდა. მას შემდეგ მისი ნაწარმოებები — ლექსები, ბალადები, მოთხრობები, ესეები, მხატვრული თარგმანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად. იგი ორმოცდაათამდე პოეტური კრებულის ავტორი იყო.

ვასილ გვეტაძის პოეტური კრებულები, ისეთები, როგორცაა „პირველი სიმღერა“, „განთავის შემდეგ“, „სახლი ჩემი“, „გადარჩენა“, „ნარის ციხის ბაღი“, „ლირიკული მონოლოგები“, „ლექსები და ბალადები“, „ლირიკა“, „ისევ ახალი“, „ერთობა“, „ბოლო ესკადრონი“ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა დიდი ადამიანური სიძარბოსისა და გულწრფელობისთვის ამ კრებულების ლირიკული გმირი, რომელსაც უამთა სიავე სულშია სითეთრეს ურევს, დაჭრილი ლომივით დადის საქართველოში და სამშობლოს ეძებს, ოდესღაც ძლიერ და ძლიერამოსილ სამშობლოს. გულგასენილს გრიგოლ ორბელიანის ოხვრა ახსენდება: „საფლავს ჩავადვიარ სიმწარით“...

ვასილ გვეტაძის პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია ლიტვურ, სომხურ, რუსულ ენებზე. თავადაც ჩინებულად თარგმნა ჩინელი, აფხაზი, ოსი, რუსი პოეტების ლექსები. ოთხი მშვენიერი საბავშვო კრებულებით გახაზრა პატარები. საინტერესოა მისი ესეები ტიცინ ტაბიძეზე, შალვა კარმელზე, სევერიან ისიანზე, გიორგი ნათესავარძიძეზე, დია ჩიანელზე, ლადო ხაფთიაშვილზე...



ბოლო წლებში ცალკე წიგნად გამოიცა პოემა „სიმღერა ოფიცერ ჯანდრი უბირიაზე“, რომელიც ვასილ გვეტაძემ აფხაზეთის ომში მებრძოლ იმ ქართველ ვაჟკაცს უძღვნა, რომელმაც ორი ფეხი დაკარგა, მაგრამ სულიერი მხნეობა და ვაჟკაცობა შეინარჩუნა და დღესაც სამშობლოს ემსახურება... ვასილ გვეტაძის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა აკაკი წერეთლის პრემია, დაჯილდოებული იყო ლირსების ორდენით, „ქართული კულტურის ამაგდარის“ მედლით... ვასილ გვეტაძე ბოლო მოჰკიდა იყო იმ ქართველი მწერლებისა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდნენ...

ქართველ მწერლებს დიდხანს ემსახურებთ ვასილ გვეტაძე, პოეტი, სამშობლოს მეციხოვნე და მამულიშვილი.

საპრეზულო მხარეთა კავშირი

მწერალი ჯარისკაცი

ვასილ ნოსეძე (1920-2016 წ.წ) დაიბადა 1920 წელს ქუთაისში. 1955 წლიდან თბილისში ცხოვრობდა. გამოცემული აქვს ორმოცამდე მხატვრული ნაწარმოებთა წიგნი.

1941-45 წლებში იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში. მიღებული აქვს მრავალი საბრძოლო მედალი და ორდენი.

წლების განმავლობაში მოღვაწეობდა გამოცემლობა „საბლიტგამსა“ და „ნაკადულში“, აგრეთვე პერიოდული ჟურნალ-გაზეთების („საქართველოს ვეტერანი“, „საქართველოს კოლმეურნი“, „საქართველოს ბუნება“, „დროშა“, „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, „მუშა მუხასა“) პასუხისმგებელ მდივნად, მთავარი რედაქტორის მოადგილედ, მთავარ რედაქტორად.

ორჯერ დაჯილდოვდა ღირსების ორდენით; არის კულტურის ამაგდარის წოდების მფლობელი; მინიჭებული აქვს აკაკი წერეთლის სახელობის პრემია;

მისი ავტორობით გამოცემულ წიგნთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „პირველი სიმღერა“, „გზები და დღეები“, „ქარავანი მიდის“, „ლირიკა“, „შემოღებულ საპუნგორაზე“, „ყაყაოები არაგვისპირას“, „რჩეული“, „ერთობა-მეუღლე“...

ვასილ გვეტაძე წლების განმავლობაში რედაქტორობდა ვეტერანთა სახელმწიფო საქმეების დეპარტამენტის გაზეთ „მუშა მუხასა“ და „საქართველოს ვეტერანს“.

მანვე ცალკე წიგნად გამოსცა („სიმღერა ოფიცერ ჯანდრი უბირიაზე“) აფხაზეთის ომის მონაწილე, ცნობილ მეომარ-ჯანდრი უბირიაზე.

გარდაიცვალა მიმდინარე წლის 27 იანვარს.

ვეტირანების საქმიანობის სახელმწიფო სამსახური ღრმა მწუხარებას გამოხატავს ვეტირანთა მწერლის ბარდაცვალებას გამო.

ფორუმის შედეგ

იწყება 2016 წლის სანაპირო სეზონი

მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ თბილისში „დიდი რაგბის“ დროულ დადგა. 6 თებერვალს ევროპაში სანაკრებო რაგბის ახალი სეზონი იღებს სტარტს – ბობოლეები დიდ 6 ერს შეუდგებიან, ხოლო ჩვენ რაგბი ევროპის მორიგ, მე-17 სეზონში ჩავერთვებით.

შარშან საქართველომ მეოთხედ იასპარეზა მსოფლიო თასზე, მონაწილე 12-ეულში შევიდა და 2019 წელს იაპონიაში ასპარეზობა ახლავ დაიწყო. ეს ნიშნავს, რომ „რაგბი ევროპა“ ჩვენთვის შესარჩევი ტურნირი აღარაა, რის გამოც უნდა დავუფროსოთ თამაშად შეგვეძლება ვატაროთ ექსპერიმენტები და ახალგაზრდობა გამოვანართოთ, მაგრამ საქმეც ეგაა, რომ მიღწეულსაც შენარჩუნება სჭირდება და ამდენად, ქომაგობა გუნდისგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვს.

ავტორი, მისი, დინამი

წელს სამატჩის ვატარებთ: 6 თებერვალს გერმანიას ავტორში ვუმასპინძლებთ. მატჩი 14 საათზე დაიწყება (ფასი 5 ლარი). პირველ თამაშზე ბილეთები დაუნომრავი იქნება, ამიტომ ვინც თადარიგს დაიმართავს და სტადიონზე ადრე მივა, უკეთესად გავიყვანებ. ბილეთების გაყიდვის თარიღი კვირის ბოლომდე დაანონსდება.

მეორე საშინაო რკენაში ესპანეთს 27 თებერვალს მივიღებთ. მატჩი მიხეილ მესხის სტადიონზე გაიმართება, ხოლო რაგბი ევროპის წლებანდელი სეზონის ბოლო მატჩში 19 მარტს ჩვენი ნაკრები თბილისში ტრადიციულად მთავარ კონკურენტს – რუმინეთს ეთამაშება. ბორჯღალოსნები მუშებს დინამო არენაზე დაუხვდებიან.

სამივე საშინაო მატჩის შუალედებში ბორჯღალოსნები გასვლაზე ორ შეხვედრას პორტუგალიისა და რუსეთის წინააღმდეგ გამართავენ. გერმანიის შემდეგ ნაკრები ლისაბონში გაემგზავრება, სადაც 13 თებერვალს პორტუგალია გემასპინძლებს, ხოლო რუსეთი სოჭში 12 მარტს დაეხვდება. რაგბი ევროპის წლებანდელი სეზონის 5-ე მატჩს საქართველომ დაიწყო.

ლოს საზოგადოებრივი მასშტაბით პირდაპირ ეთერში შემოგვთავაზებს.

წლის პირველი შედეგები

წლებანდელი გათამაშებისთვის მზადებას ბორჯღალოსნები 1 თებერვალს, ტრადიციულად შევარდენის სანაკრებო ბაზაზე შეუდგებიან. მილტონ ჰეიგა და სამწვრთნელო შტაბმა პირველი ორი შეხვედრისათვის გაფართოებულ რაზმში 30 მორაგბეს უხმო – „ნარმატე“ ბული მსოფლიო თასის შემდეგ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ტემპი შევინარჩუნოთ და ყველა მატჩზე შესაბამისი განვითარება ვივლით, რათა მთელ მსოფლიოს ვახანოთ, რომ პროგრესის შენარჩუნება და თანმიმდევრობა შეგვ



რაბი ჩენი თაგაშია

ვიძლია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პირველი მატჩიდანვე აქცენტი როგორც გამოცდილებაზე, ასევე ახალბედა მოთამაშეებზე გადავიტოვოთ. აქედან გამომდინარე, პირველი ორი მატჩისთვის შერჩეულთა უმეტესობამ გასულ მსოფლიო თასზე ითამაშა. განაცხადა ახალბედად იღებოდა სპეციალისტმა.

პირველი საზოგადოებრივი მატჩი

მარცხენა ბურჯებზე მიხეილ ნარიაშვილსა და კარლენ ასიევილს ვიხილავთ, რომლებსაც მსოფლიოს მერე თავიანთ კლუბებში, შესაბამისად მონტელიესა და ბრივიში, საკმაო სათამაშო დრო დაუგროვდათ. კვაჭებს რაც შეეხებათ, შალვა მამუკაშვილთან ერთად ზურა ყვანიას უხმეს – „სამწუხაროა, რომ წინასატურნო მატჩზე მიღებული ტრავმის გამო ზურამ მსოფლიო თასი გამოტოვა, რაც ჩემთვისაც და მისთვისაც საკმაოდ სანწყენი იყო. დარწმუნებული ვარ, რომ ეთამაშა, იგი თავს ყველას დამახსოვრებდა. ამ სეზონზე მას დერეფნებზე ვამუშავებთ და თუ საჭი

რო გახდა, პირველი ნომრის პოზიციაზეც ითამაშებს“ – დასძინა ჰეიგმა.

მარჯვენა ბურჯებზე გერმანიასთან და პორტუგალიასთან გუნდის თავკაცმა ანტონ ფიქრიშვილს უხმო. მასთან ერთად პირველი სანაკრებო კეპის მოხვეჭის შესაძლებლობა 20-წლამდე ბორჯღალოსანთა ერთ-ერთ გამორჩეულ მორაგბეს, მსოფლიო ალაფის გამარჯვებულს, ფრანგული სტადიონის ფრანსეს ნევერ გიორგი მელიქიძეს ეძლევა – „ჩვენ მას ალაფის შემდეგ ვაკვირდებით, სადაც მან საუკეთესოდ იასპარეზა. მისი სიძლიერე უკავია ჩანს როგორც სტადიონში, ასევე ღია თამაშში და რაქეშიც საუკეთესოა. მან ტოპ 14-ში უკვე რამდენიმე მატჩი ითამაშა და მიმაჩნია, რომ იმსახურებს შანსს“ – მელიქიძის დახასიათებისას აღნიშნა ბორჯღალოსანთა დამრიგებელმა. მან ასევე დაამატა, რომ პირველი ორი ტურში დაასვენებს ჩილანავას, ხოლო პორტუგალიისთვის შესაძლოა უხმოს დედუ ქუბრიასვილს.

გამოცდილი მატჩი და მისამხი ხაზი

მსტომელებად ჰეიგს გამოცდილი მოთამაშეები მოყავს – მეორე ხაზში გიორგი ნემსაძე და გიორგი ჩხაიძე გამოიძახა. „ნემსაძემ შესანიშნავად ითამაშა მსოფლიო თასზე, რამდენჯერმე საუკეთესოდ გაჭრა ხაზი და დაცვაშიც ძალიან კარგი იყო. ის და ჩხაიძე საკმაოდ გამოცდილი არიან, რაც ზემოთაღნიშნული ტემპის შენარჩუნებასა და გაგრძელებაში უდავოდ დაგვეხმარება.“ დასძინა ჰეიგმა.

გიორგი ჩხაიძისთვის, რომელსაც ზურგს 86 სანაკრებო კეპი უმაგრებს, გასული მსოფლიო თასი მეოთხე იყო. მის მსგავსად ვეებერთელა გამოცდილება ბორჯღალოსანთა ყველა დროის საუკეთესო მეუღლეს მერაბ კვიციანიცავე უხმო, რომელმაც ასევე მეოთხე მსოფლიოზე ითამაშა და ჩხაიძეზე 2-ით მეტი, 88 კეპი აქვს. „არ გამოვრიცხავ, რომ ჩხაიძემ და კვიციანმა 100 კეპი დააგროვონ და ამით ქართული რაგბის ისტორიაში შევიდნენ“. მესამე ხაზში გიორგი თხილაიშვილს, ლაშა ლომიძესა და შალვა სუთიაშვილს ვიხილავთ. მათ გარდა ჰეიგი ორ ახალბედა ბორჯღა

ლოსანს საბა შუბითიძესა და ბექა გიორგაძეს ენდო. მთავარი მწვრთნელის თქმით, ორივე მორკინალმა კარგად ითამაშა თბილისის თასზე და წინა სამსოფლიო შეკრებაზეც გამოირჩეოდნენ.

9 ნომრები – უცვლელად

ტურნირის ჰავეტების იგივე შემადგენლობით ვინცებთ, რომლითაც მსოფლიოზე წავედით. ჰეიგმა მსოფლიო თასების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მორაგბედ შესული ვასილ ლობჯანიძე, გიორგი ბეგაძე და ვაჟა ზუციშვილი გამოიძახა.

სხალბედა მატჩი

მსოფლიო თასისთვის ბორჯღალოსანთა შემადგენლობა რომ დასახელება, სამწვრთნელო შტაბმა ლაშა ხმალაძე ვიცე-კაპიტანად დაასახელა. სამწუხაროდ, კანადისთან საკონტროლო მატჩში მან ფეხის ტრავმა მიიღო და ტურნირის გამოტოვება მოუწია. ხანგრძლივი რეაბილიტაციის შემდეგ ხმალაძემ ლელო-სარასენის შემადგენლობაში უკვე ითამაშა და ნაკრებისთვისაც მზადაა. მეორე მგზავი ლაშა მალაღურაძეა, რომელმაც მსოფლიოზე ბორჯღალოსანთა ოთხივე მატჩში მიიღო მონაწილეობა და ნამიბიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ლელო დაამინა.

გამოცდილი შუამარბები

12 და 13 ნომრებზე მერაბ შარიქაძისა და დავით კაჭარავას ტანდემს ვიხილავთ. თამაშ მჭედლიძე ფრთაზე ითამაშებს, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში ჰეიგი მას ცენტრად მოიარებებს – „მსოფლიო თასზე მჭედლიძემ დიდი პროგრესი განიცადა. მან თამაშიდან თამაშამდე უმატა და ნამიბიასთან შეუდარებელი იყო. კაჭარავასა და შარიქაძის სიძლიერეზე ბევრის თქმა შეიძლება...“ ფრთებზე მჭედლიძესთან ერთად ალექსანდრე თოდუა და გიორგი ფრუიძე გაირჯებიან – „ფრუიძემ მნიშვნელოვნად მოუმაჯიკა თამაშის ხარისხს და რომ არა ვარჯიშზე მიღებული ტრავმა, იგი აუცილებლად ითამაშებდა „ოლბლექსის“ წინააღმდეგ.

მერაბ კვიციანიშვილზე ზემოთ უკვე ვთქვით. ფულბეკებად მის გარდა ზელანდიასთან ისტორიული ლელო ავტორს ბექა ნიკლაურსა და ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი გიორგი აფციაურს ვიხილავთ. ჰეიგმა შეკრებაზე რეზერვად ოთხ მორაგბეს უხმო დიდი 10-დან: გიორგი მჭედლიშვილს (ჯიქი), რეზი ჯინჭველაშვილს (აია), მურაზ გიორგაძეს (არმაზი) და ნოდარ ჭეიშვილს (ლელო სარასენს).

შენიშვნა: რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ბორჯღალოსანთა კაპიტანი გუნდის შეკრებაზე შესვლის შემდეგ დასახელდება

კოზა კოზახიძე

გამოიწერეთ:

6 თვით – 60 ლარი, 1 წლით – 120 ლარი. მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 55155444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართი: ქ. თბილისი, ი. მკნათაძის ქ. ნალოვანის იმედი 66434

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS REPUBLIKA

მარაბლის ქ. №7 იმედი 66434

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 293-37-87 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიასვილი 599 53-76-16;

ალექს ალანისვილი 599 56-81-86; რუსლან რუსია 599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „თანადამომა“-ტაგოთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“ რკინიგზის ჩიხი №20

საბ(უაკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საყურადღებო!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

სეზონის სტარტზე

ქართული დუბლები

საბარტემპოლო შოტოკან კარატე-დოს კონფედერაციის გუნდმა ახალი სეზონი აღიქმულ მიწაზე გამოვლენილი ორი ოქროს მედლით აღნიშნა, სადაც ქალაქმა ორაკივამ მსოფლიოს მესამე დიდი ჩემპიონატს უმასპინძლა კარატე დოში.

კვარცხლბეგის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:

ანდრია კარბაია – 10-11 წლის ვაჟთა შორის ინდივიდუალური კატა და ინდივიდუალური კუმიტე; თენგიზ მაზიშვილი – 14-15 წლის ვაჟთა შორის ინდივიდუალური კატა და ინდივიდუალური კუმიტე.

თა შორის ინდივიდუალური კატა და ინდივიდუალური კუმიტე. დაიკვეთა, რომ ჩვენს დელეგაციას შოტოკან კარატე-დოს ეროვნული კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი მზეჭაბუკ მახარაძე (V დანი) თავკაცობდა, ხოლო თვით ტურნირის ისრაელის შოტოკან კარატე-დოს საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის (პრეზიდენტი – IX დანის მფლობელი ვიქტორ რაბაუცი) ორგანიზებით გაიმართა.

გიორგი შოთაძე



ცინცხალი ანეკდოტები

- არბ, მიჯობს მოგვცე, ვიდრე თქვენთან ოპერაციის გაკეთებას დაგთანხმდე! - ნუ ცხარობთ! ერთი მეორეს ხელს არ უშლის. \* \* \* - რატომ მაშარდავს თქვენი ძალი ფეხზე? - რატომ მეკითხებით ამას მე და არა მას? \* \* \* - უფასო ექიმს ვერაფრით ვერ დაუმ-

- ტიციებ, რომ ავად ხარ, ფასიანს კი – რომ ჯანმრთელობას არ უჩივი! \* \* \* სინამდვილეში ცხოვრება – ეს წაუგებელი ლატარიაა! სიცოცხლის ბოლოს თითოეული ჩვენგანი მიიღებს მიწის ნაკვეთს... \* \* \* - რა უნდა გააკეთო, როდესაც საკუთარ ცოლს დავას მოუგებ?



გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გამეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!